კვირა, 10 თებერვალი 1924 წ. მეორე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამართლის ხმა

№ 13 ყოველკვირეული ჟურნალი № 13

რედაქცია და კანტორა	ფ ა ს ი	რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.	5 კაპ. მაჯალლო ოქროთი	ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე.

უკანასკნელი იმედიც დაემსხვრათ

სამი წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლების აშკარა თუ ფარული მტრები ცრუ იმედებით და ილიუზიებით საზრდოობენ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ფაქტი მათ მოსვენებას არ აძლევს და დღე და ღამე სულ იმაზე ოცნებობენ, როგორმე დაემხობოდეს ეს ხელისუფლება...

როცა საქართველო დასტოვა მენშევიკური მთავრობის გემმა და სტამბოლისკენ გაცურა, ყველა პატრიოტი და მესჩანური ნაწილი საქართველოსი დარწმუნებული იყო, რომ დღეს თუ ხვალ დემოკრატიული მთავრობა უკან დაბრუნდებაო.

და ითხზებოდა ჭორები...

საზოგადოების პატრიოტული ნაწილი ხარბად ეწაფებოდა ამ ჭორებს და რაც დღე გადიოდა სულ ახალ-ახალი ცოცხალი ტყუილებით იკვებებოდა საზოგადოების მესჩანური ნაწილი და მენშევიკური პარტიის მასსა.

— აი ბათომში მიმავალ მგზავრებს ბილეთებს არ აძლევენ, იქ უკვე ინგლისის ჯარები სდგას, დღეს თუ ხვალ მათი ხიშტების წყალობით დემოკრატიული მთავრობა კვლავ წამოსკუპდება თავის სავარძელზე და სხვაო, ავრცელებდნენ ხმებს. რაღა გასაკვირია, რომ ხალხს სჯეროდა ეს დაუჯერებელი ამბავი, როდესაც თვით ისეთი პოლიტიკური მოღვაწეც, როგორიც არის სეით დევდარიანი, დაუჯერებიათ ტყუილებით

გადიოდა დრო, მაგრამ დემოკრატიული მთავრობა არსად სჩანდა.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ ჭორებს და ტყუილებს, რომლებიც ჩვენში ვრცელდებოდნენ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. დავასახელებთ მხოლოდ შემდეგ შემთხვევებს.

როდესაც შარშან გაზაფხულზე ბ. კერზონმა თავხედური ნოტა გამოუგზავნა საბჭოთა კავშირს და ულტიმატუმი დაუსვა ანგარიშების გასწორების ნიადაგზე, მთელი ანტი-საბჭოთა ნაწილი საზოგადოებისა სიხარულმა მოიცვა.

—ესაა გვეშველაო. კერზონის ნოტას ომის სუნი უდის, ის უსათუოდ დაიწყება და ჩვენ ამ ორომ-ტრიალში როგორმე „განვთავისუფლდებითო.“

მაგრამ ულმობელმა სინამდვილემ და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ნების სიმტკიცემ დაამსხვრია საბჭოთა ხელისუფლების მტრების იმედი და პერსპექტივები.

კერზონის ტუტუცურ ნოტას არ მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. პირიქით, ის უფრო განმტკიცდა და გიგანტური ნაბიჯებით წინ წავიდა.

დაიწყო თუ არა გერმანიაში რევოლიუციისთვის მზადება, ჩვენებურ „ნაციონალისტებს“ ფრთები შეესხათ. გერმანიაში სამოქალაქო ომი დაიწყება, საფრანგეთი ჩაერევა ამ რევოლიუციაში, დაიწყება ომი, რუსეთი ამას გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდება, ისიც ჩაერევა ომში და იქნებ რამეს გამოვრჩეთო, მსჯელობდენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ბედმა უმუხთლა მათ.

დაიწყო კომპარტიაში უკანასკნელი დისკუსია და კონტრრევოლიუციას კვლავ მიეცა საბაბი იმედიანობისა.

—უკვე დაიწყო კომპარტიის რღვევა შიგნიდან, ეს მოსპობს საბჭოთა ხელისუფლებასო.

მაგრამ ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ დისკუსიიდან უფრო გამტკიცებული და გამარჯვებული გამოვიდა კომპარტია..

ამასობაში შეიქმნა შესაძლებლობა ინლისში მუშათა პარტიის მთავრობის შედგენისა.

— საცაა მაკდონალდი გამეფდება ინგლისში და მაშინ მაინც გვეშველებაო, ამბობდნენ ისინი—ის ისე ვერ იცნობს საბჭოთა კავშირს, თუ საქართველოს საკითხის შესახებ „მუხლი“ არ შეიტანა ხელშეკრულებაშიო.

ამ პირობების გარეშე მათ არ წარმოედგინათ საბჭოთა კავშირის ცნობა. ს. დევდარიანი კი თავის წერილებში ეუბნებოდა მათ: ტყუილია თქვენი იმედები, მაკდონალდი თუ მოექცა მთავრობაში, ალბად გაახსენდება საქართველო, დასწერს ერთ-ორ წერილს, მაგრამ, როცა ინგლისისუმუშევრობა გაახსენდება და გაკრავს ხელს საანგარიშოზე, საბჭოთა კავშირს იცნობს და „საქართველოს საკითხს“ თავს დაანებებსო.

მოვესწარით მაკდონალდის მთავრობას. მან წერილიც კი არ დასწერა, როგორც ამას დევდარიანი ფიქრობდა, აიღო და იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი.

ამ რიგად თვით მეორე ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელმა ინგლისის მუშათა პარტიამ და მისმა მთავრობამ ზურგი აქცია თავის მოძმე პარტიას, „საქართველოს მენშევიკურ პარტიას, არ შეიწყნარა ემიგრაციის ხვეწნამუდარა და იცნო საბჭოთა კავშირი.

ამ ცნობით ინგლისის დღევანდელმა მთავრობამ და იტალიის მთავრობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი დამხობისაკენ კი არ მიდის, არამედ საკმაოდ მტკიცედ და შეურყევლად სდგას საერთაშორისო ფრონტზე.

მისი მდგომარეობა ურყევია შინაურ ფრონტზედაც.

ამ ცნობას ლენინის სიკვდილის მეორე დღეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან აშკარაა ყველასათვის, რომ ევროპის სახელმწიფოებმაც კარგად იციან, რომ ლენინის სიკვდილით, ლენინის მიერ აშენებული სახელმწიფო ოდნავათაც არ შეირყევა და ის წინ გასწევს განვითარების და განმტკიცების გზით.

ინგლისის და იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა სახელმწიფოებისათვისაც. ამიერიდან დღე-დღეზე მოსალოდნელია სხვა სახელმწიფოების მიერაც საბჭოთა კავშირის ცნობაც

ამ ცნობას თან მოყვება ურთი-ერთთან ნორმალური ეკონომიური კავშირის განახლება და საბჭოთა კავშირი დაადგება ნამდვილ აღორძინების და აყვავების გზას.

ამ რიგად დაიმსხვრა შეურიგებლების უკანასკნელი იმედიც.

ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ის მუშა და გლეხი, რომელიც ჯერ კიდევ რყევაშია და თეთრის შავისაგან გარჩევა უძნელდება.

ამის შემდეგ მაინც უნდა მოვიდენ გონს შეურიგებლები და თავი დაანებონ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობას და ფიქრს.

გონს მოდით, გონს ბარიკადების იქითა მხარეზე დარჩენილნო!

სხვა გზა არ არის...

უთავო თავები.

დღეს არც ერთ ჭკუაში მყოფ ადამიანისთვის არ არის საეჭვო, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია, როგორც მუშური პარტია, არ არსებობს. ის მოკვდა და მოკვდა სამარცხვინოდ.

ყოველ ცოცხალ არსებას სიკვდილის დროს სჩვეულია ერთგვარი გაბრძოლება. ეს გაბრძოლება ცოცხლად დარჩენილებში იწვევს ერთგვარ სიბრალულის გრძნობას. მენშევიკურ პარტიამაც „გაიბრძოლა“ სიკვდილის ჟამს, მაგრამ ამ „გაბრძოლებამ“ მხოლოდ ზიზღი გამოიწვია ყველაში.

ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, ძლიერ ნაწყენი ვართ, რომ მენშევიკური პარტია, რომლის დროშის ქვეშ ჩვენ ვიბრძოდით ამდენი ხნის განმავლობაში, დღეს ასეთ საზიზღარ და იმავე დროს სულელურ როლს თამაშობს. ჩვენ არ გვინდოდა ასე დაკნინებული, დაცემული გვენახა ოდესღაც ძლიერი პარტია. ჩვენ გვსურდა, რომ ის მომკვდარ იყო ლამაზათ; და აკი გადავსდგით 17 ათასმა მუშამ და გლეხმა გადამჭრელი ნაბიჯი მენშევიკური პარტიის თავის დროზე ლიკვიდაციისათვის.

ჩვენ, როდესაც დავრწმუნდით მენშევიკური პოლიტიკური ხაზის უსწორობაში და მის მიერ აღებულ გეზის მუშათა კლასისათვის დამლუპველობაში, მტკიცედ და გაბედულად გახვაცხადეთ:

— ჩვენ არ შეგვიძლია ძველი გზით სიარული. ჩვენ გვსურს ჯვარი დაესვას მენშევიკური პარტიის არსებობას და ვეზიაროთ ახალ ტაკტიკას, ახალ გზას.

და ეს ჩვენ ვქენით. დავგმეთ ძველი გზა. მივიღეთ ახალი. ასეთი იყო ნება და სურვილი 12 ათასი ძველი მუშის და გლეხის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აკტივის და 5 ათასი ახალგაზდა მარქსისტის.

ჩვენი ყრილობის შემდეგ კიდევ რამოდენიმე ასეული მუშა და გლეხი შეუერთდა ჩვენს გზას.

მარტო ეს ფაკტი საკმარისი უნდა ყოფილიყო ჭკუაში მყოფ ადამიანებისათვის, რომელნიც თავის თავს ციკისტებს უწოდებენ, რომ ჩაფიქრებოდნენ მდგომარეობას და წასულიყვნენ იმ გზით, რომლითაც პარტიის დიდი უმრავლესობა გაემართა.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ თავზე ხელაღებულ ავანტიურისტებმა ეს, 17 ათასი მუშა ხალხი მოღალატეებად გამოგვაცხადეს და განაგრძეს თავისი ანტიმუშური, ანტისოციალისტური პოლიტიკის წარმოება.

მათი პოლიტიკა იმდენად არა სოციალისტური იყო და არის, რომ თვით მენშევიკური პარტიის უდიდესი პატრიოტი, სეით დევდარიანიც აღაშფოთა ამ პოლიტიკამ, როდესაც ის საგანგებო კომისიაში გაეცნო „ციკისტების“ საქმეებს—საგმიროთა!

გავარდა ყუმბარა. სეითმა, როგორც მკითხველებმა იციან, საფუძლიანად და მარტივად დაასაბუთა შენშევიკური პარტიის მარქსიზმის ხაზიდან გადახრა, მისი პოლიტიკის დამღუპველობა საქართველოს მშრომელებისათვის და ციკისტებს ჭკუისაკენ მოუწოდა.

მაგრამ უჭკუომ როგორ შეიძლოს ჭკუიანი მოქმედება!

გ. ფაღავას და ი. ციხეაძის „ჭკუამ“, პოლიტიკურმა ალღომ ის ღა მოახერხა, რომ გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიაც ს. დევდარიანის პოლიტიკურ სიკვდილზეა ლაპარაკი. ს. დევდარიანმა მათ სათანადო პასუხი გასცა და განაცხადა, რომ პოლიტიკურათ ჩემი მოკვლა თქვენ არ შეგიძლიანთო. თან დაუმატა: „ვამბობ, რომ, რაც ამ მასალებშია პარტიის სახელით, ის არ არის პოლიტიკა, არ არის მენშევიკური და არც ერთი პოლიტიკური პარტია“. აი როგორ ახასიათებს ს. დევდარიანი იმ პოლიტიკას, რომელსაც გ. ფაღავას „პარტია“ აწარმოებს. თუ ეს პოლიტიკა არ არის არც მენშევიკური და არც საერთოდ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკა, მაშასადამე, აშკარაა, რომ ეს არის პოლიტიკა ბანდიტების, პოლიტიკა უპასუხისმგებლო პირების.

ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცოდით. ჩვენ ვიცოდით ისიც, რომ მენშევიკური პარტიის არალეგალურ ცეკაში ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. იქ გამეფებული იყვნენ რამოდენიმე თავზე ხელაღებული ავანტიურისტები და ისედაც უსწორო მენშევიკურ ხაზს ძალზე ღუნავდნენ და კრიმინალურ დანაშაულს სჩადიოდენ. ჩვენ ყველაფერი ეს ვიცოდით და აკი დავგმეთ პარტია. დაგმო ის ჩვენთან ერთად იმ აქტივისტებმა, რომელნიც ჩვენი ყრილობების დროს ალმაცერად გვიყურებდნენ და მხოლოდ ამას წინეთ მოვიდნენ ჩვენთან—ესენი არიან 239 კაცი, რომლებიც 15 იანვარს გაათავისუფლეს მეტეხის ციხიდან. დაგმო მენშევიკური პარტია თითქმის ყველამ, გარდა რამოდენიმე ინტელიგენტისა და გაინტელიგენტებულ მუშებისა, რომელნიც გადასახლებულნი არიან.

მაშ ვისი სახელით ლაპარაკობს არალეგალური ცეკა?

მუშები და გლეხები მათთან არ არიან. რევოლიუციონური ნაწილი ინტელიგენციისა მათ დიდი ხანია, რაც ჩამოშორდა.

აშკარაა, ისინი ლაპარაკობენ ვაჭრების, სპეკულიანტების, მღვდლების და სხვა ამ გვარი „დემოკრატიის“ სახელით,

მუშათა და გლეხთა სახელით ლაპარაკის არც ფორმალური და არც მორალური უფლება მათ არ აქვთ.

არალეგალურ ცეკაში, რომ უთავო თავები არ ისხდნენ, ამ უბრალო ჭეშმარიტებას გაიგებდნენ და თავს დაანებებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლის უსაფუძლობა მუსოლინმა შეიგნო, მაგრამ ქართველ „მუსოლინისტებს“ ჯერ არ შეუგნიათ.

მით უარესი მათთვის.

გ. ვარდოიანი.

„პრავდა“-ს წერილი ლენინის დასაფლავების შესახებ.

წითელ არმიის ზარბაზნების გუგუნში, აურაცხელი ხალხის თანადასწრებით, ჩვენი ბრძოლის ჰიმნის ჰანგებით, დავასაფლავეთ ჩვენ ამხ. ლენინის ნეშტი. მსუსხავი ყინვა სჭრიდა თვალებს და ყინულად აქცევდა მუშებისა და მუშა ქალების თბილ ცრემლებს, მაგრამ მთელ მასაზე, მთელ შეკრებილ ხალხს თავს დასტრიალებდა, უძლეველი სული ახალი ცხოვრებისა, რომლის მოციქული და შემომქმედი იყო ჩვენი განსვენებული ბელადი.

შვიდას ათასმა კაცმა გაიარა მუშათა კავშირების სახლის დარბაზში. მილიონმა ხალხმა გაიარა დროშებით წითელ მოედანზე, კრემლის ძველი კედლების ახლო, სადაც ის ჩაესვენა საფლავში თავის მებრძოლ ამხანაგებს შორის. მთელმა ქვეყანამ სცა პატივი წითელი პროლეტარული ლაშქარის დიდ მთავარსარდალს. როგორც ერთი კაცი, ისე შემჭიდროვდენ მუშათა რიგები თავისი საუკეთესო მეგობარის კუბოს გარშემო. ახლობელ სოფლების გლეხები მასიურად მიეჩქარებოდნენ მისი საფლავისაკენ.

ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვანი მეცნიერები, ხალხი მსოფლიო სახელით, იდგენ მუშებთან ერთად საპატიო ყარაულში, იმის კუბოსთან, ვინც განგვშორდა ჩვენ.

ბაჰტისტები, სექტანტები, მოლები, თვით მართლმადიდებელი სამღვდელოების გაბატონებული ჯგუფი, მიდიოდნენ გრანდიოზულ სამგლოვიარო პროცესიაში. ყოფილი მეფის რუსეთის ერები, ყველა ნაციონალური ძალები მიაცილებდნენ ინტერნაციონალური პროლეტარული ბელადის კუბოს. მხოლოდ საზიზღარი ემიგრაციის ძალები ჭყეფდენ ჩახრინწული ხმით, მაგრამ ეს ყეფა არავის ესმოდა...

რას ნიშნავს ეს საყოველთაო ცნობა?

ლენინი იყო—და დარჩება საუკუნოების განმავლობაში—საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი. და ამავე დროს ლენინი იქნება პირველი პროლეტარული სახელმწიფოს მესაჭე. ის იყო მუშათა კლასის ბელადი და ამასთან ერთად ის იყო ახალი სახელმწიფო რეჟიმის, **საბჭოთა ხელისუფლების** რეჟიმის განსახიერება. ლენინის საყოველთაო ცნობა, ეს არის ახალი წყობილების, ახალი ურთიერთობის, ახალი სახელმწიფოს, ხელისუფლების სათავეში მდგომ ახალი კლასის ცნობა. ვინაიდან ამისათვის ბრძოლაში დაიწვა ამხანაგ ლენინის ბრწყინვალე ცხოვრება—ლენინის საყოველთაო ცნობა გამოხატავს **სოციალიზმის გამარჯვებას**,—რისთვისაც ცხოვრობდა, იბრძოდა, იტანჯებოდა და აზროვნებდა ვლადიმერ ილიჩი.

ო, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდება, ხელების გულზე დაკრეფა, დათრობა გამარჯვებით! კლასთა ბრძოლა არ შეწყვე-

ტილა ჯერ თვით ჩვენს ქვეყანაში, სხვა ქვეყნებში კი—ჯერ კიდევ მხოლოდ ახლოვდებიან სოციალური ქარიშხალის გრგვინვის ხმები. მაგრამ ერთი ცხადია. ჩვენში, ჩვენს კავშირში, უკვე არის აგებული ახალი წყობილების ჩონჩხი. ყირამალა გადაბრუნდა სოციალური პირამიდა. საზოგადოების დაბალი წრეები, მუშათა კლასი ძალაუფლებას ჩაუდგა სათავეში. მას ზურგს უმაგრებენ გლეხების მილიონი დაკოჟრილი და ძარღვიანი ხელები. ამ კლასების ხელმძღვანელობით მუშაობენ სხვები. უკვე არავინ არ ედავება მუშათა კლასს ძალა უფლებაზე. მუშათა კლასი მთელი ხალხის შეგნებაში გადაიქცა საზოგადოების უდავო ხელმძღვანელად, როგორც შემომქმედი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი **კანონიერი მთავრობისა**.

მასების არაჩვეულებრივი მობილიზაცია, თანაგრძნობის უდიდესი თბილი ტალღა, რომელმაც ფაფარი აშალა ჩვენს ქვეყანაში და მძლავრად მიექანება პროლეტარიატის პარტიისაკენ, **მისკენ, მის** დასახმარებლად, **მისთვის** ზურგის გასამაგრებლათ მძიმე წუთში,—ყველაფერი ეს შედეგია ხანგძლივი, დაუღალავი მუშაობის; ყველაფერი ეს დამამტკიცებელია იმის, რომ მაგრათ გაიდგა ფესვი ახალმა წყობილებამ, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ამხ. ლენინი.

საზღვარ გარეთ მილიონმა მშრომელებმა დაჰხარეს თავის დროშები ⁄ გამოგვიწოდეს ჩვენ თავისი ძმური ხელები. მაგრამ არა თავისი-სახელმწიფოების გარშემო, არა თავისი მართველი კლასების გარშემო, არა ამ კლასების იდეების გარშემო ახდენენ ისინი თავისი ძალების მობილიზაციას. არა! მათ **წინააღმდეგ**, მათთან **საბრძოლად**, იქ დევნილი, იქ ჯურღმულებში ჩადენილი, მაგრამ მუდამ ცოცხალი, ძლიერი **კომუნიზმის** იდეის გარშემო ამჭიდროებს მშრომელი მასა თავის რიგებს, იმ იდეის გარშემო, რომელსაც ვერასოდეს ვერ მოსპობენ, რომელიც დღეობით კი არა, საათობით იზრდება ის, რაც ჩვენთვის არის ძალის წყარო, ახალი, ენერგიის ცხოველმყოფელი წყარო, საბჭოთა რეჟიმის ურყეობის უდიდესი საბუთი, ის ძველი ქვეყნისთვის არის ძახილი მისი დაღუპვის შესახებ.

ძველ სამყაროს არა აქვს მომავალი. მისი მატერიალური საფუძვლები გამოჰმულია და ძირმომპალი. თავის შიგნით ის მალავს მილიონ მესაფლავეებს. მას უკვე აღარ აქვს დიდი გამაერთიანებელი იდეები, რომლებიც ფლობენ მასებს და ამიტომ იქცევიან ძალათ. მაგრამ მის ნაცვლად მოდის ახალი ხალხი, მოდიან ახალი იდეები, რომლებიც ძლევამოსილათ მიექანებიან მთელი დედამიწის პირზე. და, როგორც მრისხანე გაფრთხილება კაპიტალისთვის, ეწყობა და იზრდება მშრომელთა ქვეყანა, მილიონ მშრომელთა გზის მანათობელი ვარსკვლავი.

ამხ. ლენინი ჩვენთან არის. ჩვენთან არის უდიდესი ბელადი. ვინაიდან ასეული მილიონები თვლიან მას თავისი განთავისუფლების სიმბოლოდ, ვინაიდან მაგრდება გრანიტის საძირკველი მუშათა დიქტატურისა, რომელსაც აშენებდა ვლადიმერ ილიჩი.

კომუნიზმი ძლევამოსილად მიიწევს წინ. თვით თავისი სიკვდილითაც ამხანაგი ლენინი ამჭიდროებს და აკავშირებს მასებს. დასაფლავების შემდეგაც მისი სახელი წინ გაუძღვება ჩვენს არმიას, მან მსოფლიოში გამოისროლა იდეების უამრავი სიმდიდრე. მან მთელი ეს სიმდიდრე შეაერთა რამდენიმე უბრალო ლოზუნგებში, რომლებიც აკავშირებენ ჯერ კიდევ შეუკავშირებელ მასებს, აქცევენ რკინის რიგებათ, უდიდესი არმიის ბატალიონებათ. ამ არმიამ უკვე დაიკავა ცარიზმის ციხე-სიმაგრე. ის მთელ მსოფლიოსაც დაიპყრობს.

გარდიცვალა.

(ვ. ი. ლენინის ხსოვნას).

აღარ არის... გარდიცვალა მშრომელ ხალხის მოციქული,
ვინც მიუძღვნა მშრომელ-მაშვრალთ ტრფიალებით სავსე გული;
ვინც მარადის ერთობაზედ ფიქრობდა და ოცნებობდა,
კაცთა შორის სიძულვილსა, ბოროტებას მარად ჰგმობდა.

შესწყდა მისი გულის ძგერა და დადუმდა ტკბილი ენა,
ჩაჰქრა მნათი დიდებული, მზე სიმართლის ჩაესვენა,
მაშ იტირეთ, დაჩაგრულნო, თქვენი მხსნელი აღარ არი,
ვინც რომ ჰზიდა გოლგოთაზედ ქრისტესავით მძიმე ჯვარი.

გარდიცვალა... მაგრამ არა, იგი მუდამ ცოცხალია,
ვინც მშრომელ ხალხს თვისი ნიჭი, თვისი ღონე შეალია,
და დღეს თუმცა აღარ გვესმის მისი სიტყვა მძლე, დიადი,
მაგრამ მაინც ახლოს არის მაშვრალთ მხსნელი განთიადი.

ა. გაფრინდაშვილი.

ლენინთან, ლენინთან!..

(წერილი მოსკოვიდან).

არა თუ მოსკოვს, ან რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიო ისტორიასაც არ ახსოვს რომელიმე გარდაცვალებულ ცნობილ პიროვნებისადმი ისეთი თბილი, იშვიათი სიყვარულით მოპყრობა, რაიც წილად ხვდა ამხ. ლენინის გაცივებულ გვამს ამ რამდენიმე დღეების განმავლობაში. ვინ იყო ისეთი პიროვნება, რომლის სიკვდილსაც ასეთი წრფელი და არა ტრაფარეტული გლოვა გამოეწვიოს ათეულ ათასების მშრომელთა გულში?

მთელი მოსკოვი დღით და ღამით ეს ერთი კვირაა ფეხზე დგას. მის მიდამოებს არაჩვეულებრივი მწუხრის აჩრდილი დასტრიალებს. განუწყვეტლივ მიდის და მოდის კავშირთა სახლისაკენ, სადაც ძვირფასი ცხედარია მოთავსებული მშრომელთა თვალუწვდენელი რიგები. ტვერის ქუჩა, პეტროვკა, დიმიტროვკა მოხოვაია, სად, რომელი მხრიდან მოუვლით თეატრალურ და სვერდლოვის მოედანს, კავშირთა სახლს, რომ მწყობრად დარაზმული, ჩამწკრივებული გულდათუთქული მუშები არ ნახოთ, რომლებიც თავის რიგს ელოდებიან.

სიცივე 20°აღწევს, მაგრამ საათობით დგას რიგში მსუბუქად ჩაცმული ადამიანთა რიგები და შეუმჩნევლად, ხმა-ამოუღებლივ ელოდებიან ძვირფას ადამიანთან გამომშვიდობების წუთს.

— დილის ხუთ საათზე მოვედით, ამბობს ერთი ქარხნის მუშა, გვეგონა უფრო ადვილი იქნებოდა ამხ. ლენინთან შესვლა, მაგრამ მაინც ორი საათი მოგვიხდა ლოდინი.

ლენინთან, ამხ. ლენინთან, გაისმის განუწყვეტლივ ყველა ქუჩებში და მთელი ეს ზღვა ხალხი, რაღაც იშვიათი წესრიგით, როგორც შეფერის სწორედ ამხ. ლენინის ბუნებას, ცენტრალურ უბნისკენ მიექანება. ასეთი მასიური გლოვა, ასეთი ურვა-წუხილი და თანაგრძნობა, რაიც ამოძრავებს ამ ურიცხვ ადამიანთა გულს ჯერ არ ნახულ, ზღაპრულ ხასიათს აძლევს. გარდაცვალებულ ადამიანის პატივისცემას...

გარინდებული, როგორც ქანდაკება წევს ის წითელ კუბოში, რომელსაც გარშემო თაყვანცემილ, მწუხარ ადამიანთა ზღვა ელოლიავება ლენინი იგივე ლენინია, რომელიც მათ უნახავს სიცოცხლეში, ან სურათებზე. ხანგრძლივ ავადმყოფობას ოდნავათაც არ შეუცვლია მისი გარეგნული გამომეტყველება- იგივე ფართო და მაღალი შუბლი, მღიმარი შუბლი, იგივე ოდნავ დახუჭული თვალები, იგივე ბელადური ჩამოსხმული სახე მოკლე ქერა ულვაშებით და პატარა წვერით.

და ეს უამრავი ხალხი, ნაცვლად მოდუნების და უსასოების, ახალი ცეცხლით, ახალი ენერგიით ეშვება ძვირფას ბელადთან გამომშვიდობების შემდეგ ფართე კიბეებიდან. ადამიანთა თავების ზღვას თავს დასტრიალებს შავი დროშების გროვა ლოზუნგებით აჭრელებული. ყველა ისინი ერთს და იმავეს ამბობენ, ყველა იმათ ერთი გრძნობა აერთიანებს „არც ცრემლები, არც მოთქმა-ტირილი. ბრძოლა და ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე“.

ასეთია მოსკოვის და ასეთი იქნება მსოფლიო პროლეტარიატის დღევანდელი სულიერი განწყობილება. მას, როგორც მომავლის კლასს, სრული უიმედობა არ სჩვევია უდიდეს მწუხარების ჟამსაც. კი. ამხ. ლენინის დაკარგვა მას მეტი ბრძოლის ცეცხლით აღატკინებს და უფრო შეამჭიდროებს მის რიგებს. ამას ამბობს ყოველი კუთხიდან მომავალი დეპეშები: „გადაეცით კომუნისტურ პარტიას, რომ მედგრად განაგრძოს წინსვლა, ჩვენ ასი რკინისგზელი უპარტიო მუშები თქვენს რიგებში მოვეშურებით“, იტყობინებიან ვორონეჟიდან, ამასვე სწერს პეტროგრადის, ტულის და სხვა სამრეწველო ცენტრის პროლეტარები.

ბურჟუაზიაც კარგად გრძნობს ამას და ტკბილ ილიუზიებით თავს არ იტყუებს. აკი ამიტომაც მოიტანა დღეს დეპეშებმა ცნობა ლონდონიდან: „საქმის ვითარების კარგათ

მცოდნე პირები ლენინის სიკვდილს არ აძლევენ ისეთ მნიშვნელობას, რომელსაც შეეძლოს კომუნისტურ პარტიის გეზის შეცვლა, ან მისი ორგანიზაციულად დასუსტება".

მოკვდა ამხ. ლენინი, მაგრამ ბრძოლა ისევ გრძელდება და ამ ბრძოლაში მისი სახელი უკვდავად რჩება.

აკ. ჭყონია

მოსკოვი. 26 იან 1924 წ.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ჩამოსვენება მოსკოვში

(23 იანვარი)

გამგზავრება გორკისკენ

22 იანვარს დილიდანვე გორკისკენ სასწრაფო მატარებლით, ავტომობილებით და ავტომარხილებით გაემგზავრენ რ. კ. პ. ცეკას და სახალხო კომისართა საბჭოს წევრები, მოხუცი კომუნისტები და განსვენებულის პირადი მეგობრები და თანამებრძოლები.

ზოგიერთებს რამდენიმე ღამე არ უძინიათ.

სასწრაფო მატარებელი

23 იანვარს, დილის 6 საათზე პაველეცკის სადგურიდან მიდის გორკისკენ სასწრაფო მატარებელი.

მატარებელშია სპეციალური დელეგაცია—250 კაცი, საბჭოთა ყრილობის წარმომადგენლები.

მისვლა გორკაში

მატარებელი ჩადის სადგურ გერასიმოვოში დილის 6 ს. 45 წუთზე. აქედან დელეგაცია (ზოგი ბლეხების მარხილებით, ზოგი ფეხით) ძიემგზავრება გორკისკენ, რომელიც სად. გერასიმოვოდან მოშორებულია 4 ვერსით, სულ მოსკოვიდან გორკამდე 30 ვერსია.

დელეგაცია შედის სახლში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა მსოფლიო რევოლიუციის ლიდერმა ვ. ი. ლენინმა.

ილიჩი აქ ცხოვრობდა თავის ავადმყოფობის უკანასკნელ წელს.

სადგომი შესდგება ქვის ორ სართულიანი ყვითელი ფერის სახლიდან, ძველი სტილის თეთრი კოლონნებით. სახლი გარშემორტყმულია მშვენიერი ბაღით.

მეორე სართულზე ორი დიდი ტერრასაა, სადაც ილიჩი ხშირად ატარებდა დროს, როცა კარგად გრძნობდა თავს.

შუა დარბაზში ასვენია დიდებული მასწავლებელის გვამი.

დელეგატები ნელა ადიან მეორე სართულზე, შედიან დარბაზში და ეთხოვებიან მასწავლებელს... ვერ იკავებენ თავს და ქვითინებენ.

ბლეხები და ბავშვები

დელეგაციასთან ერთად ლენინის გვამთან გამოსათხოვებლად უშვებენ იქ მოგროვილ ბლეხებს და ბავშვებს. ისინი ცხოვრობდენ ლენინის მეზობლად.

ჩვენი მასწავლებელი ხშირად ერთობოდა ბავშვებთან ავადმყოფობის დროს.

რამდენი სათამაშო და გასართობი მოუწყვია მათთვის!..

სიკვდილის წინად ნაძვის ხეც (елка) კი გაუმართია მათ.

ბავშვები დასტირიან გაცოცხებულ გვამს და ცხარე ცრემლებს ღვრიან.

სხეულის გამოსვენება

სრულ ათ საათზე ვ. ი. ლენინის გვამი, წითელ კუბოში ჩასვენებული, გამოაქვთ ხელით ი. სტალინს, ა. ბუბნოვს, ლ. კრასინს, ნ. ბუხარინს, გ. ზინოვიევს და ლ. კამენევს.

კუბოს მიყვებიან უკან ნ. კ. კრუპსკაია (მეუღლე ლენინის), მ. ი. ულიანოვა (და ლენინის), ა. ი. ელიზაროვა და დელეგაცია.

სად. გერასიმოვომდე კუბო მიაქვთ ხელით.

სრულ 11 საათზე სად. გერასიმოვოდან გამოდის სამგლოვიაროთ მორთული მატარებელი.

გზაზე აუარებელი ხალხი ხვდება.

პაველეცკის სადგური, სადაც უნდა მოასვენონ ვ. ი. ლენინის გვამი, სავსეა ხალხით. სრულიად რუსეთის და საკავშირო ყრილობის წევრები, მთავრობა, ცეკი, პროფკავშირები. მუშები და აუარებელი ხალხი მოგროვებულია სადგურთან ⁄⁄ სადგურის მახლობელ ქუჩებზე...

მთელი მოსკოვი ქუჩებშია გამოფენილი...

ქუჩები სავსეა წითელი დროშებით შავი არშიით შემოყოლებული.

რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ სდგას საპატიო ყარაული.

ვ. ი. ლენინის ჩამოსვენება

პირველ საათზე მატარებელი მოდის პაველეცკის სადგურზე. ისმის სამგლოვიარო ჰიმნი.

პირველ ვაგონში ასვენია ილიჩის გვამი.

ზღვა ხალხი სასწრაფოდ იხდის ქუდებს...

ეშვებიან ძირს დროშები.

წითელ მატერიით გადაფარებული კუბო გამოაქვთ ხელით ვაგონიდან კალინინს, ბუხარინს, ტომსკის, კამენევს, სტალინს, რუდზუტაკს, ზინოვიევს და რიკოვს.

პროცესია ნელა მიყვება უკან და მიემართება კავშირების სასახლისკენ.

სამგლოვიარო მარშის ხმა...

მწუხარება ყველას სახეზე...

გლოვის ზარი მოსკოვში...

კუბო საპატიო ყარაულს შეაქვს კავშირების სახლში და სამგლოვიარო მარშის სიმღერით დაასვენებენ კოლონის დარბაზში.

დიდი მასწავლებელის ნეშტთან

მთელი მოსკოვი მოითხოვს, რომ მისცენ მას ნება გამოეთხოვოს ამ დიად ადამიანს.

ამიტომ 24 იანვრიდან, დილის 7 საათიდან ყველას ეძლევა საშუალება თავისუფლად მივიდეს ვ. ი. ლენინის ნეშტთან და გამოეთხოვოს მას.

ლენინი კუბოშიაც დიადია...

მისი მძლავრი ორგანიზმი ვერ შეუცვლია მძიმე ავადმყოფობას.

გეგონებათ სძინავს კუბოში...

სახეზე თითქმის სრულიად არ გამოცვლილა.

მე პირველად 1917 წელს ვნახე ლენინი.

დავცქერი მის გაცივებულ გვამს და თითქმის ვერავითარ ცვლილებებს მის სახეზე ვერ ვამჩნევ.

ა. რუხაძე.

მოსკოვი, 23 იანვარი.

ს. ს. რ. პ. იურიდიული ცნობის გამო

გასულ კვირას რადიომ ფრიად სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა.

ინგლისის და იტალიის მთავრობებმა იურიდიულათ იცვნეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და მის მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის დაჭერის სურვილი განაცხადეს.

ამ რიგათ საბოლოოთ დაირღვა ის ჩინური კედელი, რომელიც რამოდენიმე წელია უკვე აღმართულია ჩვენსა და დასავლეთ ევროპას შორის.

მოიხსნა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ამდენი ხნის განმავლობაში წარმოებული ბლოკადა და უნდა ვიფიქროთ დამთავრდა „ცდები" მუშურ გლეხური ხელისუფლების ჩამოგდებისა,

დღეიდან დასავლეთ ევროპასთან, ჩვენი რესპუბლიკები ნორმალურ ურთიერთობას იწყებს.

იხსნება კიდევ ახალი კარი ჩვენი არსებობის ისტორიისა.

დიდი მნიშვნელობის მქონეა ეს ფაქტი, როგორც ჩვენთვის, მშრომელთა რესპუბლიკებისათვის, ისე დასავლეთ ევროპისათვისაც.

ინგლისი და იტალიაც სჩანს საბოლოოთ დარწმუნდენ იმაში, რომ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას, რომელიც უკვე მე-7 წელია ბატონობს დედა მიწის $^1/_6$ ნაწილზე, მაგრად აქვს ფესვები გადგმული და, რომ მისი დაცემა არც ისე ადვილი საქმე არის.

პირიქით, ისინი დღითი დღე რწმუნდებიან, რომ რაც დრო გადის ჩვენი რესპუბლიკების მდგომარეობა მით უფრო უმჯობესდება და მტკიცდება მისი ეკონომიური მდგომარეობა თანდათან წინ მიიწევს. მტკიცე ნიადაგზე დამყარებული საბჭოთა რესპუბლიკები, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა გაბედულად და თამამათ სჭედენ ახალ ცხოვრებას საკმაოდ მოხერხებულად საკუთარი ძალებითაც.

ჩვენს იურიდიულ ცნობას განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ჩვენი რესპუბლიკები საკმაოდ მოლონიერდენ და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

დღეს თუ ფაშისტურმა იტალიამ ჩვენთან, სოციალისტურ ქვეყანასთან ლაპარაკი დაიწყო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბატონი იტალიის კაპიტალისტები შეურიგდნენ სოციალიზმის აუცილებლობას.

პირიქით, დღეს რომ ევროპის ბურჟუაზიას საშვალება ჰქონდეს, სიამოვნებით გამოილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ და შეეცდება დაგვიმორჩილოს, საკუთარი მონა მორჩილი გაგვხადოს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მას ამისათვის ძალა არ შესწევს.

ერთის მხრივ თვით მათი საშინაო მდგომარეობა ანგრეული, მოუწესრიგებელია მსოფლიო ომისა და რევოლიუციონური აფეთქებათა შემდეგ. მათ ალარ აქვთ თავიდა თავი, მატერიალური საშვალება—აწარმოონ ახალი ომები. ესეც რომ არ იყოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი, დღეს უკვე საკმაოდ მოლონიერებულ

რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს, დარაზმულს მე-III კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და ის აგრე იოლათ არავის მისცემს ნებას გამოილაშქროს მთელს მსოფლიოში ერთად ერთ სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე. პირველი ცდა დასავლეთ ევროპის ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისა, წააწყდება შინაურ რევოლიუციონურ ძალების წინააღმდეგობას და უსათუოდ დამარცხდება.

მეორეს მხრივ ჩვენი რესპუბლიკები დღეს უკვე საკმაოდ ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენენ.

სახელოვანი წითელი არმია, მუშურ გლეხური ჯარი, საკმაოთ გაწვრთნილი და მომზადებულია იმისათვის, რომ მან შესძლოს დაიცვას თავისი ქვეყანა მტრისაგან.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ლაპარაკობდა იმის სასარგებლოთ, რომ დაბოლოს დასავლეთ ევროპას, საკუთარი ინტერესების სწორი გაგებიდან გამომდინარეს, საბოლოოთ უნდა აეღო ხელი ავანტიურისა და ინტერვენციების გზით ჩვენს დამორჩილებაზე და სცდილიყო ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებია.

და დღეს საბჭოთა ძალაუფლების არსებობის მე-7 წელს ისინი მაინც იძულებული გახდნენ იურიდიულათ ეცნოთ ჩვენი რესპუბლიკები.

დღეის იქით ჩვენ შევდივართ ნორმალურ ურთიერთობის ორბიტში. რა თქმა უნდა ჩვენ ამით მხოლოდ მოვიგეთ.

ჩვენი რესპუბლიკების იურიდიულათ აღიარება, ქედის მოხრაა დახავსებულ ევროპის მიერ ახალი ქვეყნის ძლიერების წინაშე.

ეს უდიდესი გამარჯვებაა, რომელიც მუშურ-გლეხურმა სახელმწიფოებმა მოიპოვა.

ამიერიდან კიდევ უფრო გაათკეცდება და გაასკეცდება ჩვენი ენერგია. ამიერიდან ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ კავშირს მუშებსა და გლეხებს შორის, ვინაიდან ეს კავშირი თავდებია ჩვენი ძლიერებისა და სიმტკიცისა.

ამიერიდან, რა თქმა უნდა, ჩვენი ეკონომიური აღორძინების საქმეც წინ წავა და შედარებით იოლათ შევსძლებთ „მაკრატლის“ პრობლემას ბოლო მოუღოთ.

დღეს ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვახაროთ ლენინის საფლავს, რომ ის დიდი საქმე, რომელიც დაიწყო და საფუძველი ჩაუყარა მან, დიდმა ბელადმა, უდიდესი ტრიუმფითა და გამარჯვებით მიიმართება წინ განვითარებისა და პროგრესისაკენ.

ვ. ზერაძე.

კრება მეტეხის ციხეში *).

13 იანვარს მეტეხის ციხეში ყველა პოლიტიკური პატიმრები დილიდან ეზოში არიან შეგროვილი და ემზადებიან საერთო კრებისთვის, მსჯელობენ კრების დღის წესრიგის და განსახილველ საკითხების შესახებ, ციხის გარეთაც პატიმრების ნაცნობ-ნათესავ მეგობრები მრავალია მოგროვილი. დღის პირველ საათზე წყდება-ჩერდება ნახვა-გადმოცემები და იხსნება ციხის თეატრის დარბაზში კრება. კრებას დაესწრო ყველა პოლიტიკური პატიმრები განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა-რწმენისა, გარდა ხუთისა, რომელთაგან ორი ავადმყოფობის გამო და სამმა კი არ მოისურვეს კრებაზე დასწრება. კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ ეფრემიძე და მდივნათ მთიულიშვილი. დღის წესრიგი წინასწარ შემუშავებული იყო და შესდგებოდა: 1) საერთაშორისო და ჩვენში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოკლე ინფორმაცია და 2) ს. დევდარიანის წერილების და ამხ. გიორგაძე და ქაიხოსროშვილის დახოცვის შესახებ. კრების გახსნისთანავე თავმჯდომარემ განაცხადა,

*) რეზოლ. იხ. “სიმ. ხმა“ № 10.

პატარა ფელეტონი

ემიგრაციის წერილი—მაკდონალდს

ძმაო რამზეი, წერილს გწერთ გილოცავთ გამარჯვებასა,
დღეს შენ ინგლისის მინისტრო, ვინ გაგიბედავს წყენასა.
შენ გემონება ბრიტანიის, მზის სხივი მწველი, ელვარე,
შენ გისმენს მთელი სამყარო—და ინდოეთი მღელვარე.
ლორდიც გამხდარხარ—მეფესაც უნებებია ეს საქმე,
(აწ „კაპიტალი“ მარქსისა ამოიდევი შენ თავქვე.
მშრომელთ შეპირდი (რას ნაღვლობ) რაც რომ მოგადგეს ენაზე
უმუშევრობის მოსპობა—სრული სიწყნარე თქვენს ზღვაზე.
გაინავარდე ძმობილო ერთი დღე შენც გაიხარე,
გეყო რაც რომა ამდენხანს მუშისთვის ცრემლები ღვარე.
ჰეი რამზეი-რამზეი, შენ ეხლა გული მაგრად გაქვს,
მოწყალებასაც რომ გასცემ ამის იმედი დიდი გვაქვს;
შენ კარგათ იცი, სამი წლის ჩვენ ვართ ქართლოსი დევნილი,
ამისმა ფიქრმა დაგვღალა და ხან კი მოგვდის ტირილი,
ჩვენც ის ვიყავით, როგორც თქვენ—დღესა ხართ მინისტრებია,
მაგრამ მუშების რისხვამა გაგვხადა როგორც ჩვრებია.
„დემოკრატიზმით“ სიარულს— არ გირჩევთ, ათასჯერ არა,
მაგალითისთვის თუ გინდა ჩვენი ამბავიც კი კმარა.
შენ პურ-მარილი თუ გახსოვს, მიიღე ჩვენთან ძმია,
თფილისის ქორფა ტარხუნა, სენაკში ირმის წვადია,
ოზურგეთისა ჩხავერი—ფოთში მსუქანი ხაშლამა,
თფილისში დაბრუნებისას ჩაგატკბო გორის ვაშლმამა.
ეს პატივისცემა გავალებს, რომ გაგვიწიო დღეს ძმობა
მიხვდი თუ ძმა ხარ რაც გვინდა (ნუ იცი შენ თაღლითობა)
ძმა ძმისთვის და შავი დღისთვის, ამბობს ანდაზა ქართული,
შენ, შეპირებებს ჩვეულო, საქმე არ გვიქნა თათრული.
ამ წერილს ყველა ხელს ვაწერთ, როგორც რომ ერთი კაცია,
ჩვენ, ნოე—დიდი—პატარაც და მთელი ემიგრაცია.
P. S. შოუს მოკითხვას ჩვენ ვუთვლით—გენდერსონს დიდი სალამი,
სნოუდენს ხელზე ამბორით ვესალმით მისი ამალი.

ნიბლია

კვირეული

წმიდა მამები ეკლესიებში
არ აღნუსხავდენ ოქროს სიებში.
ხალხის ქონება გაჰქონდათ ღამით
და სუქდებოდენ ნოყიერ ჭამით.
მწყემსი ამბროსი უგზავნის ლორდებს
კომუნისტების დასაჭერ ორდერს.
გრძელი მიმართვით ავრცელებს ჭორებს
და ეს ჭორები ასუქებს ლორებს.
ჩეკამ გაუგო ესე ამბავი,
სასამართლოში მათ უკრა თავი.

ჩამოხტა... გატყდა ჯორული ქინი
და სე-სე-სე-რე იცნო ინგლისმა.
კონტრები სწყევლის: „გაგვარდეს ლდინი“
და სიხარული დაჰფარა ნისლმა.
ასე ფიქრობდა: „მოკვდა ლენინი
„და საბჭოები აწ დაირღვევა“.
ცნობას აპირებს დღეს მუსოლინი
და არ აიმღვრა წითელი ნევა.

ლუკმა გავარდა და აცდა ჯამსა
და ჩაუვარდა კოვზი ნაცარში;
უიმედობა დაიდგამს სკამსა
და თავს გაუყრის ჭერზე ბაწარში.

ცეკის შეკითხვას ლებულობს სეით;
ჰკითხავენ: „სეით, მიდიხარ სეით?“
და სეით ამბობს: „მივდივარ მარცხნით,
რადგან გათავდა საქმენი მარცხით
და გავალ მაინც იმ მხარეს ვარცხლით.
და ვერ გაუძლო ცეკამ ამ სიცხეს—
სეით გაკიცხეს და გამორიცხეს.
სიცივე არის (თებერვალია)
და თავში ტვინი გაყინულია:
ყოველი ცოდვა გოგრას ბრალია,
რომ ჭკუის ნაცვლად თავში ნულია.

რამ გაახურა ვაჟბატონები?
რისთვის ებრძვიან „კამეჩ-კენტავრებს“
„ჯარისკაცები“ და ყმა-მონები
თავს აღარებენ მეფეს და მავრებს.

მენგო

რომ დღის წესრიგში დასმული საკითხები წინასწარ განხილულია ჯგუფ-ჯგუფად საკნებში, გამოტანილია სათანადო რეზოლიუციები და კრებას დასჭირდება მხოლოთ მოსმენა საერთაშ-რისო და ჩვენში შექმნილ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოკლე ინფორმაციისა, რისთვისაც მოვიწვიეთ ამხ. ფარნიევი, და ამ რეზოლიუციების გაერთიანება-ჩამოყალიბება, მაგრამ სანამ რეზოლიუციებს წავიკითხავთ, საჭი-ოა საერთო კრებაზე იქნას გაშუქებული ის აზრები, შეხედულებანი, რომელიც ცალ-ცალკე საკნებში კრებებზე გამოითქვა. ახლა კრებას გახსნილათ ვაცხადებ, ინფორმაციისთვის სიტყვა ეძლევა ამხ. ფარნიევს, იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა დამსწრეთაგანი გამოსთქვამს სრულიად შეგნებულათ მოურიდებლათ თავის აზრს, რომელსაც უკარნახებს რევოლიუციონური სინიდისი, შეგნება და მშრომელი ხალხის ინტერესები-იდეალებიო, დაუბატა თავმჯდომარემ.

ფარნიევის სიტყვა.

ამხანაგებო! თქვენ საქართველოს საგანგებო კომისიას გადაეცით განცხადებები (ერთზე 84 აწერდით ხელს, მეორეზე 58, მესამეზე 33, მეოთხეზე 25), სადაც მოითხოვდით, რომ მე მოვსულიყავი თქვენთან და გამეკეთებია მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. მე მინდა ახლავე განვაცხადო, რომ ასეთი მომართვით გასულ წელს აგვისტოში, იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტიის წევრების მუშურ-გლეხური ნაწილის დიდმა უმრავლესობამ მოიწვია ყრილობა, მიმართა ყრილობას ბევრმა თქვენგანმა. მე მაშინაც შევასრულე ყრილობის დავალებით თქვენი მოთხოვნილება, ვიყავი აქ, მაგრამ მაშინ ერთმა ჯგუფმა ხელი შეუშალა კრების მოწვევას და მერე არალეგალურმა ცეკამ თავის „პროკლამაციებში“ გამოაცხადა, ჩეკისტებისდავალებით ფარნიევი შეიჭრა მეტების საპყრობილეში, მოინდომა ჩვენი ამხანაგების მოტყვლეება-დაშინება, მაგრამ არავინ გამოყოლია და დამარცხებული წაბრძანდაო.

მე დარწმუნებული ვარ, რომ არალეგალური ცეკა ახლაც ამასვე გაიმეორებს, მაგრამ მე ყველაფერ ამას არ ვაძლევ არავითარ მნიშვნელობას, ვინაიდან, როგორც გასულ წელს, აგრეთვე დღესაც მე მოვსულვარ თქვენი სურვილების-მოთხოვნილების თანახმათ. განსხვავება გასულ წელს და დღევანდელ შორის ისაა, რომ მაშინ თქვენ იმყოფებოდით ერთი ჯგუფის გავლენის ქვეშ და ვერ მოახერხეთ მაშინ კრების მოხდენა, რომ თავისუფლათ, გულახდილათ გამოგეთქვათ თქვენი აზრი. დღეს კი თავი დაახწიეთ ზეგავლენას და მოიწვიეთ კრება, რომელსაც ესწრება პოლიტიკურ პატიმართა 99%, და მე დარწმუნებული ვარ თქვენ თამამათ, გაბედულათ და გულწრფელად იტყვით იმას, რასაც გიკარნახებთ რევოლიუციონური სინიდისი, შეგნება-რწმენა, ჭკუა-გონება.

ამხანაგებო! საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე მარტივათაა გადაშლილი ყველას დასანახავათ, თქვენ ხედავთ როგორ დღითიდღე ირაზმება ფაშიზმი და იერიშები მოაქვს მუშათა კლასის წინააღმდეგ. თქვენ ხედავთ, როგორ თანდათან ერთმეორეს-აუქმებს მუშათა კლასის მრავალ-წლების ბრძოლით მოპოებულ უფლებებს, ანგრევს მუშათა ორგანიზაციებს, ამწყვდევს ციხეებში კომუნისტებს და კომუნისტურათ განწყობილ მუშებს, და ბოლო დროს ამ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებსაც კი დაუწყო დახურვა. თქვენ ხედავთ, თუ როგორი სისასტიკით და სიმკაცრით შეებრძოლა გერმანიის რევოლიუციას, როგორი სისხლის ტბები დააყენა საქსონია-ტიურინგიაში, როგორი მონობა-ძარცვა-მტაცებლობა დააკანონა რურში და მრავალი სხვა სიმკაცრენი, ბარბაროსობა, ხოცვა-ჟლეტვა სხვა სახელმწიფოებშიაც

რას აკეთებს ამ დროს მეორე ინტერნაციონალი და მისი ორგანიზაციები? არაფერს, ამხანაგებო. პირიქით, გერმანიის სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს ბატონ მარქსის რეაქციონურ-ფაშისტურ მთავრობას მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე იქცევიან სხვა სახელმწიფოებში სოციალ-დემოკრატები. თქვენ ხედავთ აგრეთვე თუ როგორ თანდათან შორდება მუშების და ინტელიგენციის საღი—სოციალისტურათ-მარქსისტულათ მოაზროვნე ნაწილები მეორე ინტერნაციონალს და ირაზმებიან მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის ირგვლივ საერთაშორისო იმპერიალისტურ, ფაშისტურ ძველი ქვეყნის დასამხობათ და ახალი ქვეყნის,—მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების მთელ მსოფლიოში დასამყარებლათ. და ამ ბრძოლისთვის სამზადისის დროს ჩვენ არ შეგვიძლია განზე ვიდგეთ, ჩვენი ვალია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალთან გაერთიანება და ბრძოლა ძველი ქვეყნის დასამხობათ და ახალის დასამყარებლათ. ამ გზაზე სრული შეგნებით დადგა ჩვენი ყრილობა გასულ წელს აგვისტოს დამლევიდან, აქეთკენ მოგიწოდებდით მაშინაც და ახლაც. აქეთკენ მოუწოდებს საქართველოს მშრომელ ხალხს და საზღვარ გარეთ მყოფთ ს. დევდარიანიც. რას აკეთებს ამ დროს არალეგალური ცეკა? ის კავშირს კრავს ბანდიტებთან, რაიცა მტკიცდება ნოე ხომერიკის ბინაზე აღმოჩენილ საბუთებიდან, ს. დევდარიანის და ვანო ხმალაძის წერილებიდან. და აშკარაა, ასეთ პარტიაში არ შეუძლია დარჩენა ისეთ მუშებს, გლეხებს და ინტელიგენტებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იბრძოდენ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, სოციალიზმის დასამყარებლათ. მით უმეტეს არ შეუძლია დარჩენა ახალგაზრდობას, რომლის სულის კვეთება ყოველთვის აღსავსეა რევოლიუციონური მისწრაფებებით. და თქვენ იცით, რომ ჩვენი ახალგაზრდა მარქსისტთა სრულიად საქართველოს ყრილობაც, გასულ წელს ოქტომბერში ამ გზას დაადგა. ახლა თქვენ წინაც ეს საკითხია; ან ჩვენთან ან იმპერიალისტ-ფაშისტებთან. ამხანაგებო! უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არალეგალურმა ცეკამ პარტიიდან გასულ წევრების წინააღმდეგ ბრძოლაში იქამდის მივიდა, რომ ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ, გამცემლებს, მოსყიდულებს, მშიშარებს და პარტიაში უცნობ პირებათ აღიარებენ მათ. ჩვენ ყველაფერ ამაებს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, ვინაიდან სიმართლე ჩვენსკენაა და სიმართლისთვის ყველაფერი ადვილი ასატანი—მოსათმენია. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გეტყვიან; მოღალატენი, მოსყიდულები, მშიშარები არიანო, და თქვენი სინიდისი ხომაა მოწმე იმისი, რომ თქვენ არ ღალატობთ მშრომელი ხალხის ინტერესებს, თქვენთვის ხომ არავის მოუცია სიმდიდრე? ხომ არც შიში გალაპარაკებთ? და რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ თქვენ ამდენ ხანს იბრძოდით საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის და ჩვენი-ყოფილი მენშევიკების წინააღმდეგაც. დღეს კი აი, აქ მეტეხის, ისტორიულ მეტეხის ციხეში თქვენ მოიწვიეთ საერთო კრება ჩვენში შექმნილი მდგომარეობაზე თქვენი საერთო-კოლექტიური დადგენილების გამოსატანათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იტყვით იმას, რასაც გიკარნახებსთ თქვენი საღი შეგნება და მშრომელი ხალხის ინტერესები-იდეალები. მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, იმაში, რომ თქვენ აქ, ამ კრებაზე იტყვით თქვენს აზრს არა შიშით, ან ვისიმე გავლენით, არამედ შეგნების, დაკვირვების კარნახით. ამაზე მეტის ლაპარაკი მე ზედმეტათ მიმაჩნია, ვინაიდან თქვენ თვითონ იცით ზედმიწევნით თუ მეტი არა, არც ნაკლებათ და ამიტომ მე სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოთ ვიტყვი, უსინდისო ან მართლაც მოღალატე იქნება ის, ვინც ასეთ კრებაზე, სადაც თავმოყრილია ძველი-გამოცდილი რევოლიუციონერები, დამალავს-არ იტყვის იმას, რაც გულში აქვს. ჩვენ, ამხანაგებო, ასე უდგებოდით საკითხებს კონფერენციებზე, შემდეგ სრულიად საქართველოს ყრილობაზე. ასე უდგება საკითხს ს. დევდარიანიც, ასე უნდა მიუდგეთ თქვენც. ამხანაგებო, უნდა იცოდეთ, რომ თქვენ უკანასკნელი სიმაგრე-რაზმი ხართ არალეგალური ცეკასი, გარდა ამისა თქვენი წარსული რევოლიუციონური მოღვაწეობაც გავალებთ, რომ თქვენ უფრო-ღრმათ ჩაიხედოთ სინამდვილეში და შეგნების, პასუხის მგებლობის ქვეშ გამოიტანოთ თქვენი კოლექტიური აზრი-დადგენილება. დამალვა აზრისა თქვენ მხრიდან იქნება სრული გონებრივი გაღატაკება და ასეთები არავისთვის არაა სახარბიელო გამოსადეგი უკეთ რომ ვსთქვათ, უსინდისო-გულ დახურულ მეგობარს-თანამშრომელს, აშკარა-პატიოსანი მოწინააღმდეგე სჯობია. ყველა ამის შემდეგ სიტყვა თქვენია და, ვფიქრობ, მოურიდებლათ იტყვით ყველაფერს. გაუმარჯოს თქვენ გამოფხიზლებას და დაკვირვებულ საქმიანობას.

(დასასრული იქნება.)

ტრამვაიელი.

ჩვენი ახალი მთავრობა.

ამ დღეებში დასრულდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ყრილობა. ამხ. კალინინის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ეს ჩვეულებრივი ყრილობა, რომელიც უზენაესი ორგანოა მთელი კავშირისათვის, უდიდეს ისტორიულ ყრილობათ გადაიქცა.

მას მოუხდა მუშაობის დაწყება ისეთ მძიმე პირობებში, როდესაც მშრომელი ხალხს უდიდესი წინამძღოლი და ბელადი გამოაკლდა.

ის ბელადი, რომელმაც შექმნა, გზა გაუკაფა და გაამტკიცა სოციალისტურ საბჭოთა რეს-

პუბლიკის კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობდა მის ყოველ დღიურ საქმიანობას.

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ძვირფასი ბელადის დაკარგვამ დააობლა მშრომელი ხალხი, წარუშლელი სევდის კვალი დასტოვა, თვითეული მუშა და გლეხის გულში, და რა თქმა უნდა ყრილობის დელეგატებშიაც, ყრილობამ ფიცი მისცა დიდ მასწავლებელს მისი საფლავის კარებთან, რომ ის განაგრძნობდა ლენინის საქმეს ღირსეულად, და ეს ფიცი შეასრულა კიდევაც.

მთელი რიგი დადგენილებისა, რომელიც ყრილობამ მიიღო დეტალური და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, როგორც ფინანსიურ-ეკონომიურში, აგრეთვე რესპუბლიკების პოლიტიკურ ხელმძღვანელობის სფერაში, ადასტურებს იმას რომ ყრილობამ, არ დაიმჩნია ამხ. ლენინის არ ყოფნა და კოლექტიურ აზრით, შესაფერისი კალაპოტი შეუქმნა მთავრობას ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის.

ყრილობამ თითქოს საგანგებოთ მომზადებული საჩუქარიც კი მიიღო, მუშაობის დროს. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის აქტი, იურიდიული ცნობა ინგლისის მიერ ჩვენი რესპუბლიკებისა.

რა თქმა უნდა ამ აქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ყრილობამაც შესაფერისად შეაფასა ის.

შესაფერისად გადასწყვიტა ყრილობამ აგრეთვე საკავშირო მთავრობის შედგენის საკითხი.

ამხ. ლენინის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მუდმივად თავმჯდომარეობდა სახალხო კომისართა საბჭოს, ძნელი იყო შერჩევა ისეთი პიროვნების, რომელიც შესძლებდა მის მაგიერობას.

ცხადია, მეორე ლენინი აღარ გვყავს. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს ახალი თავმჯდომარე ამხ. რიკოვი შესძლებს შესაფერისად გაუძღვეს, კომპარტიასთან ერთად და მასთან მჭიდრო კავშირში დიდ კავშირს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკავშირო მთავრობაში შეყვანილია ყველა რესპუბლიკების წარმომადგენელი.

ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც ერთხელ კიდევ ჩასჩრის ბურთს პირში, იმათ ვინც გაიძახის თითქოს ამიერ-კავკასიაში და საქართველოში რუსების ბატონობა იყოს გამეფებული.

საკავშირო მთავრობაში ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლების მონაწილეობა, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას რომ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი არის სრული სოლიდარული და მეგობრული თანამშრომლობა ცალკე რესპუბლიკებისა.

რომ თვითეული რესპუბლიკა მონაწილეობას იღებს მთელი ქვეყნის გამგებლობის საქმეში და თავის მხრივაც სოლიდარულათ მხარს უჭერს საერთო მთავრობას.

ჩვენი ახალი მთავრობა, რომელიც გამოხატავს მთელი კავშირის სურვილს და ნებისყოფას ღირსეულათ წარუძღვება წინ დიად კავშირს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებისა და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ივლის მშრომელი მასსის საკეთილდღეოდ, როგორც ეკონომიურ აღორძინების სფეროში, აგრეთვე პოლიტიკისა და დიპლომატიის დარგშიაც.

ვ. ქოროშელი.

სეით დევდარიანის წერილი

საქარ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მე მეგონა, თქვენ გაემიჯნებოდით გამოქვეყნებული მასალებით „ხაზს“ და „ტაქტიკას“. ამის მაგივრად გამოგიშვიათ ფურცელი, რომლითაც გამიჯვნას სცდილობთ ჩემგან, და სანამდის ეს „ტყვია“ ჩემამდის მოაწევდა, უკვე გამოგიცხადებიათ მუშებისთვის და გლეხებისთვის ჩემი პოლიტიკური სიკვდილი. თითქოს ამოწმებთ, რომ პარტიისაა ეს „ხაზი“ და „ტაქტიკა“. დიდი დაფიქრება გმართებდათ სანამდის აიღებდით თქვენ თავზე ამისთანა პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე.

გამოქვეყნებულია მცირე ნაწილი იმისი, რაც არის. ნაამბობია ყველაფერი იმ პირებისაგან, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტის და პარიტეტული კომიტეტის სახელით ეძლეოდათ თურმე ეს უცნაური „დავალებები“. ნაამბობია იმნაირად, რომ, რაც უნდა კარგი გამომგონი ყოფილიყვენ ასე ვერ გამოიგონებდენ. მე მარტო ეს გარემოება დამაფიქრებდა. სწორიც რომ იყოს ჩემ თვალში ეს „ხაზი“, მაინც მოვინდომებდი მის შეცვლას. ვიტყოდი, ვიღას უნდა მივანდო აწი მისი გატარებათქო. ვიტყოდი, ნიადაგი არ ჰქონებია იმ „საქმეს“, რომელსაც ასრულებდენ ეს პირები, პარტიული რწმენის განურჩევლად, რაკი ასე გულდასმით და დალაგებით უამბობენ აქ ყველაფერს. სამწუხაროდ, არ შემიძლია ვთქვა, რომ ისინი განიცდიან ძალდატანებას, თუმცა არსებითად ეს სულ ერთი იქნებოდა. მე ვერც იმ „საქმეს“ ვიწამებდი, რომელზედაც ძალდატანების შიშით აიღებდა კაცი ხელს. მაგრამ ჩემი პირველი წერილების შემდეგ მე აქ წინადადება მომცეს გავეცნო არა მარტო წერილობით ჩვენებებს, არამედ პირადათაც ვინახულო ვინც მინდა, ან ვინც მოინდომებს. ნახვის და ლაპარაკის საშუალება მაქვს მეთვალყურის დაუსწრებლადაც.

მე არ გადავსულვარ ყოფილ მეწშევიკების პლატფორმაზე და არ დამიკარგავს უფლება ვილაპარაკო პარტიის აწმყოზე ან მომავალზე. მე ვამბობ, რომ რაც ამ მასალებიდან სჩანს, რაც ამ მოამბეებს უკეთებიათ ცენტრალური კომიტეტის სახელით, ის არ არის პარტია, ის არ არის გზა ერის განთავისუფლების, ის არ არის პოლიტიკური ბრძოლა, და არ ვიტყვი, რა უნდა დაერქვას ამისთანა „ბრძოლას„, არ მინდა უხეში სიტყვის ხმარება.

თქვენ კარგად იცით, როგორ ვუყურებდი მე თავიდანვე ტყუილ იმედებზე დამყარებულ ტაქტიკას. მაგრამ ეხლა ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან არავის წინამე არ ვაპირებ თავის მართლებას. აქ არის ჩემი წერილობითი განცხადებები, მე ვთქვი, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავემეცევი პირად პასუხისმგებლობას და ამ მხრივ, სულ ერთია, ვიცოდი, არ ვიცოდი, რა კეთდებოდა ცენტრალურ კომიტეტის სახელით. მე მოვითხოვდი უმაღლეს სასჯელს ჩემთვისაც, თუ ერთი ვინმე დაისჯებოდა ამ „საქმეებისთვის“.

ჩემი გამოსვლა მოხდა ჩემი თაოსნობით, არავის არ მოუნდომებია ჩემთან აქ მოლაპარაკების დაწყება. მე შეეხებდე პირველ მასალებზე, რა მდგომარეობაშია ჩაყენებული მთელი პარტია და თვითეული პარტიის წევრი. მე არ შემეძლო დამეშვა, რომ პასუხი მოთხოვოდა ვინმეს ჩვენი საკვირველი უპასუხისმგებლობის გამო. თქვენ გიკვირთ, რომ მაშია ორახელაშვილი დაემუქრა ცენტრალურ კომიტეტის წევრებს, დამიჯერეთ, რომ ეს დემუქრება ერთი ბუზის გაფრენაა ამ მასალებთან შედარებით.

მე არ უარვყოფ არ კ ერთ სტრიქონებს ჩემი ხელით დაწერილს საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ, მაგრამ როცა „ბრძოლა“ ამნაირ „ხაზებზე“ ვარდება, ამნაირ „გზებში“ ემხვრევა, მე ეურჩევ თვითეულ მუშას და გლეხს, რომ უარჰყოს ეს „ბრძოლა“ თავიდან ბოლომდის. დაგარწმუნებთ, რომ ასე ადვილი არ არის ჩემი პოლიტიკური სიკვდილი. პოლიტიკურად მკვდარია ის, ეინც ამ „ბრძოლას“ იწონებს. ნაადრევია ლაპარაკი ჩემ „დაღალვაზედაც“. მე არ დავიღლები იმის მტკიცებაში, რომ ამ „ბრძოლის“ გზით ქართველ ერს მოელის დაუსრულებელი ტრაგედია და არა განთავისუფლება.

დაასახელეთ ვინც გინდათ მუშა და გლეხი, მოვიდენ და ნახონ ეს მასალები. მე მძველად მივსცემ ჩემ თავს, რომ ამ მოსვლის და ნახვის გულისთვის არავის არ ეხლოს ხელი. ნახონ და თქვან, შეუძლიათ თუ არა ამის შემდეგ ჰქონდეთ ჩვენი ნდობა.

ვამბობ კიდევ, რომ, რაც ამ მასალებშია ნარტიის სახელით, ის არ არის პოლიტიკა, არ არის მენშევიკური და, საერთოდ, არც ერთი პოლიტიკური პარტია. თქვენ, როგორც ვხედავ თქვენი ფურცლიდან, არ იზიარებთ ამ აზრს. მიზანშეწონილი იქნება, ამიტომ, თუ საკითხს დავაყენებთ უმაღლეს ორგანოში, მაგალითად, მეორე ანტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში. მე ვეცდები ყოველ შემთხვევაში, რომ ეს ასე მოხდეს. იქ გავგზავნი ყველა მასალებს. ალბად დაინიშნება სოციალისტური კომისია, სასამართლო, და ვნახოთ, რას იტყვის.

თუ თანახმა იქნებით ამისი, მე მგონია, აჯობებს, რომ ჩვენი ერთმანეთთან შეკამათება გათავდებოდეს თქვენი ამ ფურცლით და ჩემი ამ წერილით. მე არ დამიწყია თქვენთან კამათი. მე საკითხი დავაყენე პრინციპიალურად. მე ვთქვი, რომ თუ პარტიას ეროვნული ბრძოლის ტაქტიკაში არ უვარგა გამოსავალი წერტილი, მაშინ მოსალოდნელია დამახინჯება ამ ბრძოლის, მაშინ შესაძლებელია ათასნაირი, რბილად რომ ვთქვათ, საეკვო ხასიათის „დავალებები“.

აგერ ჩემ სიახლოვეს სხვედან, ვინც ასრულებდენ ამ „დავალებებს“, **სასჯელს** მოელი ან ყოველ წუთს. ვეკითხები ჩემს თავს, რათ უნდა იტანჯებოდენ ისინი ამისთანა მოლოდინით, ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო ეს მსხვერპლი, რატომ უნდა იყონ ისინი ამ მდგომარეობაში, როცა დამნაშავე ვართ ჩვენ, ვინც ვერ მივეცით მათ სწორი გზა. გული თავის ალაგას არ მიდგება, როცა მივჩერებივარ ჩემი ფანჯრიდან სასეირნოდ გამოშვებულებს და მგონია ხოლმე, რომ თვალში მაკლდება რომელიმე, გუშინ, გუშინწინ დანახული სახე...

უნდა შეგრცხვესთ თქვენ, როცა თქვენი ფურცლის სტრიქონსა და სტრიქონს შუა ცდილობთ დაანახოთ მკითხველს, რომ პირად ინტერესების სარჩულზეა აგებული ვითომ ჩემი ეხლანდელი გამოსვლა.

ს. **დევდარიანი.**

უკრაინის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ლიკვიდაცია

1 თებერვალს, შრომის სასახლეში გაიხსნა სრულიად უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. მასარსკიმ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ყრილობა იხსნება იმ დროს, როცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი შავებით არის შემოსილი ამხ. ილიჩის დაკარგვის გამო. ყრილობამ ფეხზე ადგომით და სამგლოვიარო მარშით პატივი სცა საერთაშორისო რევოლიუციის ბელადის ხსოვნას.

დამტკიცებულ იქნა შემდეგი ყრილობის პროგრამა:

1. მოხსენება უკრაინის საინიციატივო ბიუროსი.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მენშევიზმის რღვევა რუსეთის და საერთაშორისო მაშტაბით.
4. ლიკვიდაცია მენშევიკური პარტიის და დამოკიდებულება რ. კ. პარტიასთან.

უკრაინის საინიციატივო ბიუროს მოხსენება

პროგრამის დამტკიცების შემდეგ მოხსენებას უკრაინის საინიციატივო ბიუროს სახელით აკეთებს ამხ. მასარსკი. ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა ყველაზე ადრე მიიღო ეკატერინოსლავის ორგანიზაციამ, რომელმაც აშკარად გასწყვიტა ყოველივე დამოკიდებულება მენშევიზმთან და აღიარა შეცდომები. შემდეგ აღდგენილ იქნა კავშირი დონის ბასეინთან. შემდეგ ტაქტიკის ჩამოსაყალიბებლად მოწვეულ იქნა კონფერენცია ბახმუტში, სადაც მივიდენ ხარკოვის წარმომადგენლებიც. აქ შესდგა სრულიად უკრაინის საინიციატივო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მოსიაკოვი, მასარსკი, სნიგიროვი, პოლჩინსკი და გალუზინი.

კონფერენციამ გადასწყვიტა მაშინ სრული ლიკვიდაცია მენშევიკური პარტიის. საჭირო იყო არა მარტო ლიკვიდაცია მენშევიზმის. საჭირო იყო პასუხის გაცემა მუშებისთვის, თუ რატომ სხვანაირად ვუცქეროდით მომავალს მენშევიკები, რატომ ვერ ვუთანხმდებოდით კომპარტიას.

ამ კონფერენციის შემდეგ მოძრაობა იღებს ჩამოყალიბებულ ფორმებს, იზრდება და იღებს თეორიულ დასაბუთებას, რომელიც უკვე იყო გამოქვეყნებული პრესაში.

გამოქვეყნებულ დეკლარაციის შემდეგ უკრაინის ბიურო იღებს მთელ რიგ განცხადებებს უფიდან, ცომბირიდან და სხვა ცენტრებიდან. ყველანი უერთდებიან გამოქვეყნებულ დეკლარაციას.

ამ ჟამად უკრბიურო აერთიანებს ეკატერინოსლავის, დონეცის, ხარკოვის, კიევის და ოდესის გუბერნიებს.

ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც გამოდიოდნენ მოხსენებებით ყოფილი მენშევიკები, ყველგან იყო მითითებული, რომ ეს მოძრაობა არაა გამოწვეული ვისიმე ძალდატანებით, ხელოვნური, რომ ის მოდის პარტიის ქვედა ფენებიდან და არის გამოხატულება პარტიული მასის სულისკვეთებისა.

მუშები ყველგან მომხრენი იყვნენ მენშევიზმის ლიკვიდაციის.

ამხ. მასარსკი ამბობს, რომ ეს ყრილობაც დაადასტურებს ამ აზრს.

მოხსენებები ადგილებიდან.

შემდეგ ყრილობა ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან. ეკატერინოსლაველი დელეგატი ამხ. **რუტესი** ამბობს, რომ მოძრაობა დაიწყო პარტიის ძირითად ორგანიზაციებში, მასსაში კერზონის ნოტას და მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალების შეერთების შემდეგ. ჩვენი მოძრაობა თითქოს იყო პასუხი ამ ორი აქტის.

აზრი მენშევიზმის ლიკვიდაციის შესახებ მოედო მთელ ოლქს, რომელიც მიემხრო საგუბერნიო ბიუროს. ორგანიზაცია აერთებს 165 წევრს. მათი უმრავლესობა პარტიის წევრია 1898 წლიდან.

ამხ. **მოსიაკოვი** (დონბასი) ამბობს, რომ მოძრაობა სტიქიურად დაიწყო ქარხნის მუშებში. პირველი საორგანიზაციო ჯგუფი შედგა ენაკიევში, რომელიც შეუდგა მენშევიზმის ლიკვიდაციას. საორგანიზაციო ჯგუფის წევრები დადიოდენ შახტებში და ქარხნებში და უხსნიდენ მათ ახალი პლატფორმის მნიშვნელობას, მუშებთან თათბირმა კიდევ უფრო განამტკიცა ის აზრი, რომ მენშევიზმის ლიკვიდაცია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშათა კლასისთვის.

უპარტიო მუშები ჩვენ ხშირად გვეუბნებოდნენ:

თქვენ კარგი ხალხი ხართ, მაგრამ ხომ არ მიდიხართ კომპარტიაში იმიტომ, რომ დაშალოთ ის, ხელი შეუშალოთ მის მუშაობას?

ამას ეუბნებოდენ ძველ პარტიულ ამხანაგებს, რომლებსაც დონბასი კარგათ იცნობდა. ასე დიდია სიყვარული კომპარტიისადმი უპარტიო მასაშიაც კი, რომელიც უფრთხილდება ამ პარტიას და ეშინია არავინ შეაფერხოს მისი მუშაობა.

ჯგუფი შესდგება 147 პირისაგან, ამათგან 120 მუშაა.

ოდესის დელეგატი ამხ. **პატლაჟანი** ამბობს, რომ ოდესა იყო სოც. დემ. პარტიაში მემარჯვენე ორგანიზაცია. ცეკისტების საუკეთესო მემარჯვენე წევრები იყვნენ აქ და ამიტომ დაამჩნიეს თავისი სახე აქაურ ორგანიზაციას.

უბრალო წევრები იდეიურად დიდი ხანია ჩამორჩნენ პარტიას, მაგრამ მათში მაგარი იყო ჯერ კიდევ პარტიული ჯიუტობა, ამ მხრით დამახასიათებელია, რომ ნიკოლაევის და ხერსონის ოლქებში სალიკვიდაციო ჯგუფები შესდგა გაცილებით ადრე.

ამ ჟამად ორგანიზაცია წარმოადგენს სერიოზულ ძალას. შედის შიგ 98 მუშა, ამათგან 92 ამხანაგის სტაჟი არის 1917 წლამდე. არიან ძველი პარტიული მუშაკები, დამაარსებელნი სოც. დემოკრატიული მოძრაობის, როგორც ოდესაში, ისე სამხრეთ რუსეთში.

კიევის დელეგატი ამხ **გრონშტეინი** ამბობს, რომ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში სალიკვიდაციო ორგანიზაციაში იყო 27 ამხანაგი ამ ჟამად არის 90.

ორგანიზაციაში ვიღებდით დიდი გარჩევით. ბევრ საეჭვო პირებს უარს ვეუბნებოდით ორგანიზაციაში მიღებაზე. 75% წევრებისა ძველი პარტიულებია სტაჟით 1898 წლიდან 1905 წლამდე. არიან წევრები რ. ს. დ. მ. პ. საოლქო და საგუბერნიო კომიტეტების.

ხარკოვიდან გამოდის ამ **მასარსკი**. ის ამბობს, რომ ხარკოვი მესამე ცენტრია, რომელიც მიემხრო ამ მოძრაობას. ჯერ იმართებოდა მუშებში პოლიტსასამართლოები და კრებები, სადაც ანალიზს ვუკეთებდით ს.-დ. პარტიის ტაქტიკას, ვაღიარებდით მის შეცდომებს და ცუდ გავლენას პროლეტარიატზე.

ხარკოვის ოლქები არაა ჩათრეული ამ მოძრაობაში, ვინაიდან იქ არაა შესამჩნევი ს.-დ. ორგანიზაციები.

ხარკოვის ჯგუფში 60 პროც. მუშებია, უმთავრესად ძველი პარტიულები.

კრემენჩუგის წარმომადგენელი ამხ. კოლჩინსკი მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად შესწყდა ს.-დემოკრატიული პარტიის გავლენა კრემენჩუგის მუშებზე:

საინიციატივო ჯგუფში შედის 18 ამხანაგი. როსტოვის წარმომადგენელი ამხ. კასიანოვსკი ამბობს, რომ საინიციატივო ჯგუფი ეწეოდა დიდ მუშაობას ს.-დ. ორგანიზაციების დასანგრევად და ეს საქმე მან გააკეთა ისე, რომ არავითარ საზღვარ-გარეთელ „ხუროთ-მოძღვარს“ არ შეუძლია ეხლა ამისი აშენება.

გუბერნიაში არაა არც ერთი დიდი მუშათა ცენტრი, ვინაიდან ისინი უკვე გადავიდენ დონბასზე. ამიტომ საინიციატივო ჯგუფმა თავისი მუშაობა გადაიტანა სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში.

ჯგუფი შესდგება 90 კაცისაგან, საიდანაც 75 პრ. ძველი პარტიული მუშებია. არის აქ აგრეთვე 4 წევრი დონის კომიტეტის.

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა.

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, ყრილობა ადასტურებს, რომ ამ მოძრაობას აქვს ჯანმრთელი ფესვები პარტიის ქვედა ფენებში და აღმოცენდა დამოუკიდებლივ, ვისიმე გავლენის ან ძალდატანების გარეშე.

შემადგენლობა და სტაჟი ყრილობის მონაწილეთა და ადგილობრივი ორგანიზაციებისა გვიჩვენებს, რომ მთელი აქტივი, ნამდვილი

რევოლიუციონური ელემენტი რ. ს. დ. მ. პარტიისა ყოფილა წარმოდგენელი საგუბერნიო საინიციატივო ორგანიზაციებში და უკრაინის ყრილობაზე.

მუშაობა ადგილობრივ ყრილობამ სცნო სწორად და დამაკმაყოფილებლად.

სულიერი განწყობილება ყრილობაზე მაგარი და მხნეობით სავსეა.

ყრილობა სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ის აკეთებს პროლეტარიატისათვის აუცილებელ საქმეს.

მსოფლიო რევოლიუციონერის, სოციალისტური ტიტანის ლენინის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა უკრაინის ს.-დ. მუშათა მასაში ის აზრი, რომ ერთად ერთი ხსნა რევოლიუციისა არის მხოლოდ რ. კ. პ. გამაგრებაში.

ამ საქმეს უნდა შეეწიროს პირადი ინიციანობა, პარტიული თავმოყვარეობა და ყოველგვარი დოქტრინერობა.

საჭიროა გაბედული ნაბიჯი და მენშევიზმის ნამსხვრევებზე აფრიალება კომინტერნის დროშის.

ა. რ—ძე.

მოსკოვი, 2 თებერვალი.

უმუშევრობა საქართველოში.

ჩვენი მტრები ხშირათ გვისაყვედურებენ, რომ საქართველოში საშინლად გაიზარდა უმუშევრობა და არავინ ამ საკითხს არ აქცევს სერიოზულ ყურადღებასო.

უნდა ითქვას, რომ უმუშევრობამ საერთოდ ეპიდემიური ხასიათი მიიღო ყველა ქვეყნებში იმპერიალისტურ ომის შემდეგ.

ეს საკითხი საშინლად არის გამწვავებული ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში.

როგორაა ჩვენში უმუშევრობის საკითხი. აი მოკლე ანგარიში ამის შესახებ. 1923 წლის 1-ლ იანვარს საქართველოში აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი უდრიდა—7.241.-ს ამ რიცხვიდან 4.155, 3) იყო მამაკაცი, 3) ხოლო 3.277 დედაკაცი (მათში არის 866 მოზარდი).

ამ რიცხვიდან ქ. ტფილისზე მოდის 5.956 უმუშევარი—2890 მამაკაცი და 3.066 დედაკაცი, 654 მოზარდი, ან 82,4 %, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებზე—17,6%.

იანვრიდან დაწყებილი უმუშევართა რიცხვი ყოველ თვე თანდათანობით იზრდება. ყოველ თვიურად მოსულ უმუშევრებთან ერთად საანგარიშო პერიოდის დასასრულს მთელ საქართველოში უმუშევართა რიცხვი უდრიდა, 23.642 (15.279 მ. კ., და 8.363 დ. კ.). ასე, რომ, იანვრის თვის 1-ლ რიცხვთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა 16.221 კაცით (11.135 მამა-კაცი, 5.086 დედაკაცი), ე. ი. სამჯერ.

ამავე დროს შრომის წინადადების რიცხვთან ერთად გაიზარდა შრომის მოთხოვნილებაც და სამუშაოზე გაგზავნა, რომლის მოძრაობა 1923 წ. 1/1-დან 1/7-დე შეგვიძლია და ვინახოთ შემდეგი რიცხვებიდან, რომლის მიხედვით 100 უმუშევარზე მოდის 33,2 ადგილი.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისს (ე. ი. 1-ლ იანვარს ირიცხებოდა).	მამა-კაცი	დედა-კაცი	სულ	მათ შორის მოზარდები
შრომის წინადადება (ახლად აღრიცხულ უმუშევარ) . . .	22.119	9.769	31.888	3.891
შრომის მოთხოვნილება	8.415	2.202	10.617	—
10 უმუშევარ. მოდის ადგილი	38.9	22.5	33.2	—
სამუშაოზე გაგზავნა	8.153	2.428	10.581	1.068
საანგარიშო პერიოდის (ე. ი. 1/7) ირიცხებოდა . .	15.279	8.363	23.642	1.728

„ციკაული"

მოვიდა შიკრიკი, ხელში აქვს: გაზეთი,
კვერცხები, მარილი, პაკეტი და ზეთი.
კვერცხებში გაჰყარეს რკინისა შამფური.
სუფრაზე აწყვია: ეაშლები და პური.
გაშალეს გაზეთი—დაჰყარეს ყურები.
და გატყდა სულყველა სიცრუეს ჟურები.
ევროპას ომისთვის ნახეს არ ს

გზავნის %-%-ული შეფარდება არ იძლევა თვალსაჩინო ცვლილებებს გასულ წელთან შედარებით.

შრომის წინადადებათა უდიდესი ნაწილი აღრიცხულია ქ. ტფილისში, სადაც ა. წ. პირველი 6 თვის განმავლობაში ახლად გამოცხადდა 20. 839 უმუშევარი. ე. ი. 65. 4%-ი რესპუბლიკის შრომის მთელი წინადადებისა: შემდეგი ადგილი უკავია ბათომს,-სადაც აღრიცხულია 4, 848, ანუ 15,2%, შემდეგ ქუთაისის-1, 843 უმუშევაროთ ანუ 5,9% ჩიათურა-1695 ანუ 5,4% და ფოთი. 917 უმუშევარი ანუ 3 პროც. და სხვ. ადგილები.

უმუშევრები ქ. ტფილისში უფრო უკეთეს პირობებშია, ვიდრე ბათომში და ფოთში, რადგანაც ტფილისში 1,000 უმუშევარზე მოდის-36,2 თავისუფალი ადგილი, მაშინ, როდესაც, ბათომში 1,000 უმუშევარზე მოდის-22,3 და ფოთში 19,7.

უმუშევარ პროფ-კავშირის წევრებს პროცენტული შეფარდება უფრო მეტი მოდის ქ. ბათომზე, სადაც უმუშევრები პრო-კავშირის წევრები შეადგენენ ყველა უმუშევრების 34 პროცენტს, შემდეგ ადგილს იკავებს ტფილისი, ქუთაისი, სადაც არის 30 პროცენტი და ბოლოს ფოთი-23 პროცენტი.

უმუშევრების მოძრაობის შრომის ბაზრის მდგომარეობის შემდეგი დახასიათებისათვის მოვიყვანთ 4 მთავარ ადგილების რიცხვობრივ ცნობებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია ყოველმხრივ გაშუქება რესპუბლიკის უმუშევრობისა საანგარიშო პერიოდში.

ზემო-ხსენებულის გამო უმუშევრობის მოძრაობის შესახებ მოგვყავს ცნობები 4 მთავარი ადგილისა, ე. ი. თბილისის, ბათომის, ფოთის და ქუთაისის ცალკე თვეების მიხედვით.

ქალ. ტფილისისათვის: ახლად ჩაწერილ უმუშევრების უდიდესი ნაწილი მოდის მარტსა (4,625) და თებერვალზე (3,910), ხოლო უმცირესი ნაწილი იანვრისა და მაისის თვეებზე.-

შრომის მოთხოვნილება მთელი ხნის განმავლობაში თებერვლიდან ირზდება და აღწევს უდიდეს რიცხვს მაისში, როდესაც 100 უმუშევარზე მოდის 56,3 თავისუფალი ადგილი.

სამუშაოზე გაგზავნის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი თვეები, როგორც არის მაგალითად, იანვარი, თებერვალი და მაისი, როდესაც 100 თავისუფალ ადგილზე მოდის 102 გაგზავნილი და სხ. უკანასკნელის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ერთსა და იმავე ადგილზე რამდენიმე უმუშევარის გაგზავნა.

ქალაქ ბათომში შრომის წინადადება სხვა და სხვა თვეებში ქანაობს, აღრიცხვის უმცირესი ნაწილი ეხება აპრილს (101 კაცი) წინააღმდეგ მარტში 924-ს და მაისში აღრიცხულ 535 კაცისა.

შრომის მოთხოვნილებამ გაასწრო შრომის წინადადებას მხოლოდ აპრილში შრომის წინადადების უმნიშვნელო რიცხვის გამო, ხოლო უმცირეს იძლევა იანვარი და ივნისი, საშუალოდ ამ თვეებში 100 უმუშევარზე მოდის 23 თავისუფალი ადგილი.

ქუთაისში 1-ლ 5 თვის განმავლობაში შრომის წინადადება უმნიშვნელოდ ქანაობდა ხან ერთსა და ხან მეორე მხარესაკენ და მხოლოდ ივნისში იზრდება თვალსაჩინოთ-ამ თვეში აღრიცხება 629 უმუშევარი, წინააღდეგ მაისში აღრიცხულ 293 უმუშევარის. შრომის მოთხოვნილება აპრილის თვიდან თანდათანობით კლებულობს, მაგალითად, მარტში 100 უმუშევარზე მოდიოდა 40 თავისუფალი ადგილი, აპრილში 37, მაისში 30 და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ფოთში უმუშევრობა ატარებს მუდმივ ხასიათს აქ სჩანს, რომ უმუშევრობა საკმაოდ შემცირდა, ე. ი. შემცირდა უმუშევართა აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებით. შემჩნეულ შრომის წინადადების რიცხვის შემცირებამ გამოიწვია თავისუფ ლ ადგილების გადიდება, მაგალითად მაისში ავიდა 60 წინააღმდეგ 16 თავისუფალ ადგილისა აპრილში.-

ქვემო-მოყვანილი ცნობები გვაჩვენებს ქ. ტფილისისა, ფოთისა და ჩიათურაში აღრიცხვაზე დარჩენილ უმუშევართა რიცხვს.

1923 წ. 1—7 აღრიცხვაზე დარჩ.				
	სულ	სიმინდი	სიმინდამდე	ფოთი
ტფილისი . .	16,247	9,851	6,396	1,229
ბათუმი . . .	3,013	2,060	953	191
ქუთაისი . .	1,404	766	638	107
ჩიათურა . .	1,651	1,600	51	61
ფოთი . . .	646	526	120	90

ქალ. ტფილისში უმუშევართა უმთავრეს ნაწილს შეადგენს ინტელიგენტური შრომის პირები (51,2 პროც.), რომლიდან ყველა შრომის წინადადების 35,5 პროც. საანგარიშო პერიოდში მოდის საბჭოთა მოსამსახურეებზე.

მეორე ადგილს იკავებს დამამუშავებელ მრეწველობის უმუშევართა ჯგუფები, რომლების რიცხვი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან გაიზარდა 1204 კაცით, მაგრამ უმუშევართა მთელი მასსების პროც-ულ შეფარდების მიხედვით, დაიკლო 31,0 პრ-დან 18,8 პრ-მდე. ამ უმუშევართა ჯგუფის შორის უდიდესი ნაწილი მოდის საფეიქრო პროფესიის პირებზე 954 კაცი (31,3 პრ.) და ტყავის მომუშავეებზე 442 კაცი (14,5 პრ.) და დამამუშავებელ მრეწველობის უმუშევართა ჯგუფებზე, ანუ 2,7 პრ. მთელი უმუშევრებისა.

დამამუშავებელ მრეწველობის უმუშევართა ჯგუფის შემდეგ პირველ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ კვების და ხელზე მოსამსახურეთა ჯგუფები (10,0 პრ.) და შავი მუშები—(7,8 პრ., უკანასკნელი ადგილი ეკუთვნის მიწა-ტყის მუშაკებს (0,5 პრ.).

საანგარიშო წლის 1-ლ ნახევრის დასაწყისს აღრიცხვაზე დარჩენილ უმუშევართა შესახებ ბათომი, ქუთაისის და ფოთიდან სათანადო ცნობების მიუღებლად 38 არ იძლევა საშუალებას მოვიყვანოთ შედარება საანგარიშო წლის 1-ლ ნახევრის დასაწყისს და დასასრულს აღრიცხვაზე დარჩენილ უმუშევართა შესახებ.

ქალ. ბათომსა, ფოთსა და ქუთაისში უმუშევარი იყო.	
წლის 1-ლ ნახევრის დასასრულს	28
პროც-ი ჯამთან.	0.6
...	6
...	0.1
...	806
...	35,9
...	297
...	5,9
...	1955
...	38.6
...	463
...	9.3
...	1498
...	29.6
...	5073
...	100%

სასოფლო-სატყეო მეურნეობის უმუშევრებს შორის უდიდესი ნაწილი მოდის მიწის უმუშევრებზე, როგორც შრომის წინადადების, ისე მოთხოვნილების მხრივ.

ტრანსპორტისა და ნაბმის მომუშეეებში კერძოთ ქ. თბილისში ვამჩნევთ, რომ ტრანსპორტზე მომუშავეების შრომის მოთხოვნილება შეადგენს შრომის წინადადების 19,0 პრ.

ეხლა განვიხილოთ დამამუშავებელ მრეწველობის უმუშევართა შემადგენლობა.

ამბილები მრეწველობა.	ქალ. ტფილისში.			ქ. ბათომ., ქუთაის. და ფოთში.		
პროფესიათა ჯგუფები.	შრომის წინადად.	შრომის მოთხოვ.	100 უმ. მოდის ად.	შრომის წინადად.	შრომის მოთხოვ.	100 უმ. მოდის ად.
ლითონზე მიმუშავები . . .	1029	457	44,4	437	86	19,7
ხეზე მიმუშავები	168	84	50,0	32	4	12,5
ფეიქრები	296	144	48,6	41	11	26,8
ტყავის მრეწველობის მუშა .	743	181	24,4	131	9	6,9
ქაღალდზე მიმუშავები . .	8	2	25,0	124	66	53,2
სურსათ-სანოვაგის მიმუშავები .	576	402	69,8	281	58	20,6
მინ. და ფაიფურის მიმუშავები	6	4	66,7	—	—	—
თამბაქოზე მიმუშავები . .	454	144	31,7	172	74	43,0
ტყეზე მიმუშავები . . .	589	123	20,9	191	38	19,9
ჭურჭლები	52	4	7,7	5	—	—
ბუმბულები	300	236	78,7	68	13	19,1
სულ . . .	4221	1781	42,2	1482	359	24,2

ინტელიგენტურ შრომის უმუშევართა ჯგუფის შესახებ მოყვანილ ცხრილის განხილვიდან სჩანს, რომ მათში სპარბობს საბჭოთა მუშაკები, მაშინ როდესაც მათზე შემოსული მოთხოვნილება მეტად მცირეა.

სამმართვ. და საზოგადოებრივი საქმეებში.	ქალ. ტფილისში			ქ. ქ. ბათომში, ქუთაისში და ფოთში.		
	ბალიშ.	ვაჭრ.	100 ბალიშ. ვაჭრ.	ბალიშ.	ვაჭრ.	100 ბალიშ. ვაჭრ.
ხელოვნების მუშები	553	81	14,8	107	4	3,7
ლიტ. განმანათლ. დარგ. მუშ.	802	202	52,2	91	16	17,6
საფინანსო შრომის	1117	387	34,6	310	112	36,1
სამედიცინო-სანიტარო შრომ.	913	722	79,1	251	72	28,7
აფთიაქის მოსამსახ.	135	92	68,1	33	13	39,4
საბჭოთა მეშაკები	6351	1301	20,5	1930	451	23,4
სულ	9871	2785	28,2	2722	668	24,5

საზოგადო კვების მუშაკები არ იძლევიან განსაკუთრებულ ცვლილებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ტფილისში საზოგადო კვების მუშაკთა შრომის წინადადება ფარავს 38,3 მოთხოვნილებას, დანარჩენ ქალაქებში—კი 21,5 თავისუფალი ადგილი.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი შავ მუშებსა და სხვა ჯგუფებში. აქ შრომის წინადადების მხრივ, როგორც ტფილისსა ისე სხვა ადგილებში სპარბობს შავი მუშები, მაგრამ შავი მუშების შრომის წინადადების დაკმაყოფილების საქმე უფრო ცუდ პირობებშია ბათომსა, ფოთსა და ქუთაისში, ვიდრე ტფილისში.

ამრიგად რესპუბლიკის მთავარ ადგილებში უმუშევრობა ხასიათდება ორი მთავარი სახით: 1-ლი მათგანი გულისხმობს ინტელიგენტურ შრომის უმუშევართა სიმრავლეს, სადაც უმეტესათ სპარბობს საბჭოთა მუშაკი და აგრეთვე დედა-კაცები და მოზარდნი.

მეორე საანგარიშო პერიოდში გატარებულ სახელმწიფო ორგანოთა შემცირება-შეკუმშვამ უმუშევრობას მისცა ხანგრძლივი ხასიათი. სახალხო მეურნეობის ცხოვრების გადაკეთების პროცესი, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული უფრო ნორმალური შეფარდების შექმნა წარმოებათა, დაწესებულებათა, და მათში ჩაბმულ მუშა ხელთა შორის, გაგრძელდება შემდეგშიაც. ასე რომ ჩვენ არამც თუ უნდა მოველოდეთ უმუშევრობის შემცირებას, არამედ მზად უნდა ვიყვეთ უმუშევრობის კრიზისისათვის, უმთავრესად საბჭოთა მუშაკებში; სხვა პროფესიებში კრიზისი უნდა ჩაითვალოს დროულ მოვლენად, ვინაიდან ის აღმოიფხვრება ქვეყნის სავაჭრო სამრეწველო ცხოვრების აყვავებით.

ზემოდ მოყვანილ მდგომარეობამ გამოიწვია ისეთი საშუალებების გამონახვა, რომლებიც მიმართული იქნებოდა უმუშევრობასთან ბრძოლასა და მათ მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ. ამ მიზნით 1-ლ თებერვლიდან მოგვარებული იქნა უმუშევართა დაზღვევის საკითხი ტფილისსა და ბათომში. აპრილის თვიდან გაიხსნა უფასო სასადილოები, მოეწყო საწარმოო და შრომის არტელები.

ერთად-ერთ ასეთ ზომად უნდა ჩაითვალოს განსაზღვრულ წრის უმუშევართა დაზღვევა, რომლებსაც აქვს უფლება სახელმწიფო უზრუნველყოფისა სამუშაოს მისგან დამოუკიდებელ მიზეზების დაკარგვის გამო. ქვემო-მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს დაზღვევულ უმუშევართა რიცხვს მთავარ ქალაქებისა და თვეების მიხედვით.

ქალაქები	დაზღვეულების რიცხვი.						
	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	სულ
ტფილისი	734	1114	1427	2000	2613	3116	
ბათომი	144	251	555	—	—	248	
ფოთი	160	138	314	36	36	—	
ქუთაისი	—	94	162	128	164	14	

ქ. ტფილისში აღრიცხვაზე დარჩენილ უმუშევართა და დაზღვეულთა რიცხვის შეფარდება ივნისში გვაძლევს 10 %-ს, ბათომში—8 %, ქუთაისში—1 %. ეს, მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დასაზღვევ უმუშევართა წრის გადიდება, რაც უკვე მიღებულია გასატარებლად ამ მოკლე ხანში.

უმუშევართა დაზღვევის გარდა უფრო ცუდ მდგომარეობაში მყოფი უმუშევართ ტფილისსა და ბათომში უმუშევართათვის გახსნილ სასადილოებიდან ეძლეოდათ უფასო სადილები, ტფილისში უფასოდ გაცემულ სადილის რიცხვი უდრის დღეში 500—600, ხოლო ბათომში 250—400.

თავის მუდმივ ადგილ—საცხოვრებელში გამგზავრებულ უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით მარტიდან შემოღებული იქნა გაცემა რკინის გზებზე სამგზავრო შეღავათიან ბილეთებისა (15 %), მათში, ყველაზე უფრო მეტი გაიგზავნა სამშობლოში აპრილსა და მაისში, როდესაც ხდებოდა უმუშევართა ჯგუფობრივი გადაგზავნა. სწორი ცნობების უქონლობა არ გვაძლევს საშვალებას სამშობლოში წამსვლელ უმუშევართათვის მაცემულ შეღავათიან ბილეთების რიცხვის აღნიშვნისა.

აი ასეა ჩვენში უმუშევრობის საკითხი.

N.

არ უნდა დავივიწყოთ...

13 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მეფის ჯალათებმა ვალოდია გამოასალმეს სიცოცხლეს. ამ ხნის განმავლობაში მისთვის არავის გვიბრუნვია, არავის გაგვხსენებია, და თუ ასე გაგრძელდა, ვეღარც მის საფლავსაც ვეღარ მივაგნოთ.

ვალოდია მანჯგალაძე ხელობით ზეინკალი იყო. ის გაწვეულ იქნა ჯარის კაცად ქ. გუმბრში, 1905 წელს რკინის გზის გუნდში, მას ძლიერ უძნელდებოდა სამხედრო სამსახური, აუტანელი იყო მისთვის იმდროინდელი სამხედრო „რეჟიმი", ვინაიდან აფიცრობა და განსაკუთრებით ზემდეგები მეტად უდიერად ექცეოდენ ჯარის-კაცებს. იმ ხანად მოკლული იქნა მისივე გუნდის ზემდეგი და როგორც ყველაზე უფრო უკმაყოფილზე, ეჭვი ვალოდიაზე მიიტანეს, მაგრამ, როცა მოინდომეს მისი დაპატიმრება, ის გუნდში აღარ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ის უახლოვდება გუმბრის ორგანიზაციას და იწყებს არალეგალურათ ცხოვრებას. ამ ორგანიზაციის დავალებით მან მოუსპო სიცოცხლე 1906 წ. დასავლეთ საქართველოს ამაოხრებელ ალიხანოვ ავარსკის, რომელმაც შემუსრა აბზიბებული გლეხობა 1905—1906 წ.. ის კიდეე ბევრს სისაძაგლეს ჩაიდენდა შემდეგში, მაგრამ ვალოდიას მადლიანმა ხელმა შესწყვიტა ავარსკის გასისხლიანებული მაჯის ცემა. ამ აქტის შემდეგ ვალოდია შეაფარებს თავს სადგურ ვანჯას, სადაც ჩვენი ორგანიზაცია ძალიან სუსტი იყო. ვინაიდან 1905 წელს ის სრულებით განადგურდა, მთელი მისი შემადგენლობა დაპატიმრებული იყო და მეტეხის ციხეში მოთავსებული. ვალოდიამ აქაც მუსრი გაავლო იმ რევოლიუციის მტრებს, რომელნიც საკმაოდ იყო განჯაში და მოსვენებას არ აძლეედენ ისედაც სუსტ ორგანიზაციას. სხვათა შორის მან გაუგმირა გული თვალსაჩინო მტერს რევოლიუციისას ჟანდარმერიის პოლკოვნიკს რეიდერს, რომლის შემდეგ ორგანიზაციამ სული მოითქვა. ამ აქტის შესრულების შემდეგ ორგანიზაცია მას ანთავისუფლებს და თბილისში ჩამოდის და „ობლავის" დროს რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ შემთხვევით გული გაუგმირა ფაქიზ რევოლიუციონერს დარაჯმა.

ის, როგორც უპატრონო მკვდარი, მიჰქონდა მიხაილოვის საავადმყოფოდან უპატრონოთა სასაფლაოსკენ თავიანთივე დროგით. მათ დახვდა რამოდენიმე ამხანაგი, მათ შორის ბ. მიქაძე და კაპანაძე, შეისყიდეს მეედროგე და დაასაფლავეს კუკიის სასაფლაოზე, ასე უბრალოდ და ულამაზოდ დალია სული პატარა რევოლიუციონერმა, მაგრამ დიდი საქმის გამკეთებელმა ადამიანმა. დიდება შენს სახელს, ვალოდია, რევოლიუციის სადარაჯოზე გულ განგმირულო!

ასეთები ჩვენ ბევრი გვყავს, მათთვის უნდა ვიზრუნოთ, მათთვის მოვიცალოთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება. მათ ისტორია დაივიწყებს, როგორც პატარა გმირებს და ეს ჩვენი დანაშაული იქნება.

ს. ჩლაიძე.

რატომ დავტოვე მენშევიკური პარტია.

მეკითხებიან, რატომ დასტოვე მენშევიკური პარტია, ან კიდევ ამდენხანს რას შვრებოდი, რას ფიქრობდიო.

არ შეიძლება ადამიანმა ერთბაშად, ერთის დაკვრით ამოიგუბეკოს გულიდან ყველაფერი ის, რაც მას სწამდა და ემსახურებოდა ამდენი ხანი. ჩემი თავი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო ე. წ. „დემოკრატიზმით", „შორიდან მოვლის" ტაქტიკით. რწმენა ამ გზის აუცილებლობისა და ჩლუნგი მორჩილება, ახასიათებდა აზროვნების მდგომარეობას მენშევიკების დროს. მაგრამ დღეს ეს უკვე აღარ არსებობს. დღეს მუშათა კლასი იყურება სულ სხვა მხარეს. ნაცვლად ძველი უიმედობისა, ის შეპყრობილია უსაზღვრო იმედებით. თუ მაშინ შეეძლო მას იმ აზრის დაშვება, რომ შეიძლებოდა **რაღაცეების** შეცვლა, დღეს ის დარწმუნებულია, რომ შეიძლება შეიცვალოს, გაუმჯობესდეს **ყველაფერი** და გაუმჯობესდეს დღესვე. და აი რაღაც მშფოთვარე, მაგრამ ძლიერი და უსაზღვრო იმედი ეპარება ადამიანს გონებაში და აიძულებს მას გამოვიდეს ჩვეულებრივ ბურუსიდან.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ აუხილა ყველას თვალები. მან გააღვივა ცეცხლი, მიწის ქვეშეთი, რომლის სიდიდე და სიღრმე უნებურად რწყავს, შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიულ ქვეყანას, რადგანაც გრძნობენ თუ რა ძლიერი იქნება მისი აღმოხეთქვა. ნიადაგის რყევა დღითი დღე მატულობს, უკვე მოისმის ქვესკნელიდან ყრუ ხმაურობა და მხდალი, მშიშარა ბურჟუაზია გულმოდგენით დაეძებს საშვალებებს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ისტორიამ იცის ბევრი რევოლიუციები, აჯანყებები, როდესაც ელვით განათებული, მოულოდნელი იმედებით გაბრწყინებული მუშათა კლასი სთვლიდა პირობების შეცვლას შესაძლებლად და ერთის დაკვრით იშორებდა თავიდან, თავისუფლდებოდა საუკუნოებით დაკანონებულ მონობიდან. მაგრამ კაცობრიობა არასოდეს არ ყოფილა ისეთ პირობებში, როგორც დღეს. რუსეთის რევოლიუციამ უკვე საგრძნობლად შეურყია საფუძველი ძველ ქვეყანას, რის გამო საკმარისია ერთი მაგარი შეტევა, რომ მთელი შენობა ნანგრევების გროვად გადაიქცეს. არავითარ ძალას, არც ფაშისტურ სამხედრო ორგანიზაციას, კავშირებს, ლიგებს, კონფერენციებს თუ გინდ „სოციალისტების" დახმარებითაც კი არ შეუძლია განწირული, ისტორიის, აუცილებლობის მიერ განწირულ ძველი ქვეყნის გადარჩენა. უნდა დაინგრეს და დაინგრეს საფუძვლიანად, საბოლოოდ ძველი ქვეყანა და მის ნანგრევებზედ აშენდეს ახალი, რომელშიაც გამეფებული იქნება შრომა და სამართლიანობა: სადაც არ იქნება ჩაგვრა ერთი ადამიანის მიერ მეორესი და ერთი ერის მიერ, მეორე ერისა. ამ დიად საქმის ხელმძღვანელობა, ცხოვრებაში გატარება წილად ხვდა კომუნისტურ პარტიას და ამ გმირულ ბრძოლაში შეიძლება ბევრმა, ბრძოლით შეზნებულმა, გადაუდგეს მას გვერდზედ და ბევრსაც, მოულოდნელი სინათლით დაბრმავებულს, გზაც აერიოს. მაგრამ ვაი მას, ვინც გაბედავს ამ აბობოქრებულ ტალღებს გზაში გადაეღობოს, ვინც მოინდომებს მის შეჩერებას, ის აუცილებლად დაიღუპება, ჩაინთქმება რევოლიუციის აქაფებულ ტალღებში.

დაე, მშიშრებმა, ლაჩრებმა შეიმალონ თავის ბინებში, ჩაიკეტონ კარები, დარაბები და ფეღუროდან ათვალიერონ დაუცხრომელი ძალა, თუ როგორ ასრულებს თავის დასაქცევ, დასარღვევ საქმეებს, რომ შეუდგეს ახალი შენობის აყვანას.

აი რისთვის დავტოვე მე მენშევიკური პარტია და დავადექი ახალ გზას.

ვ. ნიკურაძე.

მუშეგი და გლეხეგი.

სოფლის და ქალაქის ანუ გლეხების და მუშების ერთი მეორესთან დაკავშირების საკითხი დღეს ჩვენთვის ყოველდღიურ მორიგ საკითხთაა გადაქცეული. რამდენიც არ უნდა ვწეროთ და ვილაპარაკოთ, თუ ამ ჩვენი სურვილის საქმედ, სინამდვილეთ გადაქცევა არ დავაჩქარეთ აქაც ისარგებლებს კერძო სეკულიაცია ვაჭარი, საერთოდ საბჭოთა მტერი თავის სასარგებლოთ გამოიყენებს არსებულ მდგომარეობას.

მთავარი მიზეზი ამ მდგომარეობის გართულებისა, რასაკვირველია, „მაკრატლათ" წოდებულ მოვლენაშია, სოფლის და ქალაქის წარმოებათა შორის არსებულ უწონასწორობაში. სახელმწიფოებრივ და პარტიულ ორგანოების მიერ მიღებულ ზომების წყალობით, რა თქმა უნდა, მსუბუქდება ხსენებული რთული მდგომარეობა, მაგრამ თუ არ გაათკეცდა ეს ზომები, მართლაც ისარგებლებენ სოფლად ფართედ გავრცელებული მაწანწალა სპეკულიანტები. როგორ უნდა მოვიქცეთ? ისევ და ისევ კოოპერაციაზე უნდა შევჩერდეთ. საქმე იმაშია, რომ როგორც კოოპერაციის, აგრეთვე სახელმწიფო სავაჭრო—სინდიკატების სავაჭრო-საქმიანობა ქალაქად უფროა გავრცელებული, ვინემ სოფლად. სახელმწიფოს ამ სავაჭროებიდან დიდათ სარგებლობს კერძო ვაჭარი და ის საქონელი, რომელსაც ყიდულობს აქედან მოხერხებულად, საჩქაროდ გადააქვს სოფლად, აწეულ ფასებში ასაღებს გლეხებზე და ხელთ იგდებს სოფლის ნაწარმოებთა საუკეთესო ნაწილს და ამ რიგად ხელს უშლის მაკრატლის დაშორებულ წვერების დაახლოვებას. ამ ბოროტებასთან საბრძოლველად დაპირდაპირებულია კოოპერაცია სოფლად, რომელსაც მართლაც შეეძლო დიდ დახმარების გაწევა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერაციის მოღვაწეობაც სოფლად, შედარებით ქალაქთან ნაკლებია და მოუწყობელიც. მაგალითად, ის აუარებელი სოფლები, რომელნიც დაშორებულნი არიან რკინის გზას და არც აქვთ ხეირიანი გზები, აი ასეთ სოფლებში კერძო ვაჭარი ადვილად შედის და „ხეირიანადაც" ვაჭრობს. სახელმწიფო სავაჭროები, რომ სოფლად არაა გავრცელებული, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ რაც შეეხება კოოპერაციას, ჯერ ერთი მისი სავაჭრო—საქმიანობა უნდა შეფარდებულ იყოს გლეხკაცობის მოთხოვნილებებთან, მეორე და მთავარიც ყოველ მივარდნილ სოფლებთანაც კი უნდა იყოს დაკავშირებული. ამისთვის კი საჭიროა პროვინციის საკოოპერაციო ქსელის უფრო გაფართოვება და ცენტრალურ კოოპერატივების მხრივ მეტი ყურადღება, როგორც საჭირო საქონლის დროზე მიწოდებით, აგრეთვე დამხმარე ძალებით. მაგალითად გარდა იმ მწვავე საჭიროებისა, რომელსაც განიცდის გლეხობა ფართლის, ნავთის, მარილის და სხვა პირველ ხარისხოვან ნივთების უქონლობით, უფრო მწარედ განიცდის სასოფლო იარაღების საჭიროებასაც. არავისთვის გაუგებარი არაა, რომ სამეურნეო იარაღი მიწის მუშისათვის იგივე აუცილებლობაა, რაც თოფ-იარაღი საომრად მიმავალ ჯარისკაცთათვის. ამიტომ ცენტრებში და მაზრებში არსებულ კოოპერატივებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას და საჩქაროდ მიაწოდონ სოფელს სამეურნეო იარაღები. ამის გარდა სერიოზიულ ყურადღების ღირსია ამ კოოპერატივებში არსებულ მომუშავეთა შემადგენლობაც. არავითარ საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ბევრია ჩვენს კოოპერატივებში დარჩენილი „ძველი შეხედულების მქონე" ისეთი ძალები, რომელნიც ხელის მოწყობის მაგივრად უფრო უშლის კოოპერაციის აღორძინების საქმეს. საჭიროა გაჯანსაღება და კოოპერაციასთან იდეიურად დაკავშირებულ ხალხის ჩაყენება. საერთოდ კი, ვინაიდან სოფლის და ქალაქის ერთიმეორესთან დაკავშირების და მაკრატლის პირების გათანასწორების საქმეში ერთად-ერთი სწორი საშვალებას შეადგენს კოოპერაცია, საჭიროა მისი მეტად გაფართოვება, საღი ძალების ჩაყენება მისი შინაურ ცხოვრებიდან ბიუროკრატიზმის სრულიად მოსპობა.

ძველი მუშა.

მუშათა წერილები

დიქტატურა თუ დემოკრატიზმი

მე მგონია ჩვენ ორივე გვინახავს. ჩვენ ვნახეთ დემოკრატიზმი, გავიარეთ მისი ეტაპები და ვხედავთ დიქტატურას პროლეტარიატისას. რა არის დემოკრატიზმი და რა სარგებლობა მოაქვს, როგორც ფორმას სახელმწიფოს მმართველობისა მუშათა კლასისათვის.

დემოკრატიზმის დროს არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ მღვდლები, თავადები, კაპიტალისტები, ვაჭრები და სპეკულიანტები. აქედან ადვილი წარმოსადგენია თუ რას გააკეთებდენ მუშების სასარგებლოდ. ავიღოთ მთავარი საკითხი—მუშათა საკითხი. ეს საკითხი მაშინ სხვათა შორის ქონდათ დაყენებული. მაშინდელი ჯამაგირით ცარიელი მჭადით თუ გამოიკვებოდი, ისიც კარგი იყო. ქონდათ რაღაც სატარიფო პალატა, ღეპავდენ თითქმის მთელი სამი თვე პალატიდან დამფუძნებელ

კრებაში და სანამ ფულს მიიღებდით, ის თავის მნიშვნელობას კარგავდა. ამიტომ იყო, რომ დამშეული მუშები კუჭის გასაძღობად სახალხო გვარდიას ეტანებოდენ. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც გვარდიელებს მოსწყინდათ ფრონტიდან ფრონტზე სიარული, მასთან აქ ცოლ-შვილი შიმშილს განიცდიდა, გვარდიელებში ცოტ-ცოტა უკმაყოფილობა ისმოდა: ჩვენ აქ ფრონტზე ვიტანჯებით, იქ კი ვაჭარ-სპეკულიანტები განცხრომაში არიანო, თუ არ ვცდები, მგონი, ვალიკო ჯუღელმა შეიტანა დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა ვაჭრების დაბეგვრის შესახებ. მაშინ დამფუძნებელ კრებაში ისეთი აურ-ზაური ასტეხეს, რომ იძულებული გახდა შეკითხვა უკანვე წაეღო.

იყო ასეთი შემთხვევაც: რუსთაველის თეატრის შენობისათვის რეკვიზიცია უნდოდათ: მთელი ორი წელიწადი ღეჭეს, მაინც ვერ უყვეს რეკვიზიცია და ბოლოს გადასწყვიტეს შეესყიდათ ის შენობა.

მაშინ მუშებისათვის არც დამზღვევი კასა იყო თავის დონეზე დაყენებული. კასის გადასახადის ნახევარს გვახდევინებდენ ჩვენ, მუშებს, ნახევარს დამქირავებელს — ავადმყოფობის დროს არც კურორტი, არც თითქმის დახმარება; მხოლოდ გადმოგვიგდებდენ ერთ მეოთხედ ჯამაგირისას, შიმშილითაც, რომ მომკვდარიყავ, ის იყო შენი საზრდო. ამიტომაც იყო ხოლმე ხშირად იძულებული იყო ავადმყოფ მუშას, ემუშავნა, რომ შიმშილით ცოლ-შვილი არ დახოცოდა. უმუშევრობის დროს მუშას არაფერი არ ეძლეოდა. აი ასეთი სურათი იყო დემოკრატიზმის დროს.

ეხლა გადავხედოთ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურის დროს თუ როგორაა საქმე. არსებობს საბჭოები მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა. ამ საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ მუშები, ღარიბი გლეხები და მუშა-გლეხის შვილები — წითელ არმიელები, ამ საბჭოების მთავარი ყურადღება მიქცეულია მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ავიღოთ მუშების ჯამაგირი, ის განისაზღვრება საქონლის მანეთით. საქონლის მანეთის ინდექსი ცხადდება თვეში ოთხჯერ. თუმცა ჩერვონეცი გარბის, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ რაც შეიძლება გაუმჯობესონ მუშების მდგომარეობა.

ავიღოთ მეორე საკითხი, საავადმყოფო კასა. კასის გადასახადს იხდის მხოლოდ დამქირავებელი, მუშა ამ გადასახადიდან განთავისუფლებულია. ავადმყოფობის დროს მუშა ღებულობს სრულს ჯამაგირს, საექიმო დახმარებას და თუ საჭირო იქნება კურორტზედაც გაგზავნიან. სხვათა შორის ყველა კურორტები და მუშათა დასასვენებელი სახლები ყველა მუშების განკარგულებაშია. უმუშევრობის დროს მუშა დაზღვეულია და ღებულობს მცირე დახმარებას და კიდევ ცდილობენ ეს საქმე უფრო კარგათ მოაგვარონ, რაც შეეხება რეკვიზიციას არამც თუ თეატრის, რაც საუკეთესო სახლები იყო, სულ ჩამორთმეულია და მათში ჩასახლებულია მუშები. ყველა მემამულეებს მიწები ჩამოართვეს და გადასცეს წვრილ გლეხობას. კიდევ ბევრი შედარება შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია. აი ასეა მოწყობილი საქმეები დიქტატურის დროს და ვერც ერთი მუშა, რომელიც კარგათ დაუფიქრდება ამ შედარებას, ვერ იტყვის, რომ დემოკრატიზმი კარგიაო, თუ ის განგებ არ ეინიანობს ან თვალებს არ იხვევს. დროა ყველა გონს მოვიდეთ და გავარჩიოთ თეთრი შავისაგან.

მუშა ნაბია.

ამხ. ლენინის ხსოვნის საღამო

შაბათს ორ თებერვალს თუთუნის ქარხანა „პროლეტარის“ მუშათა ინიციატორობით გაიმართა როზა ლიუქსენბურგის სახელობის ქარხნის მუშათა კლუბში ამხ. ლენინის პატივსაცემად საღამო მიტინგი, რუსულ ენაზე მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. ტოროშელიძე და სომხურათ ამხ. კახიანცი. დამსწრეთა შორის იყვნენ აგრეთვე მე21 პოლკის კურსანტები საკუთარი ორკესტრით, დარბაზში ხალხის ტევა არ იყო, რის გამო ბევრი მუშა დაბრუნდა გულ ნატკენი სახლში; მიტინგის გახსნისთანავე დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამხ. ლენინის ხსოვნას, ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავს, რის გამოც ბევრს მუშა ქალებს და კაცებსაც თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდათ! მომხსენებლებმა ორივე ენაზე საუცხოოდ და ნათლად დაასურათეს ამხ. ლენინის თავ-განწირული შრომა-მოღვაწეობა მუშათა და ჯარის კაცთა წინაშე და გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია... ამის შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება და ბამდენიმე სამგლოვიაროო მოტივი იმღერა მუშებისაგანვე შედგენილ მგალობელთმა გუნდმა, ამას მოჰყვა მუშების მიერ სიტყვების და საკუთარი ლექსების კითხვა რუსულათ, სომხურათ და ქართულათ, რუსულში მონაწილეობა მიიღეს კურსანტებმა: სტოიკინმა, სემენოვმა და მატვეევმა, მუშებიდან: იეროფეევმა, კალესნიკოვმა და სხვებმა. სომხურათ: მუშებმა დოშოიანცმა, პეტროსიანცმა, ქართულათ ბაჯიაშვილმა, ქალმა აფშილავამ და სხვებმა, საღამომიტინგი დასრულდა ინტერნაციონალით., ხალხი თუმცა დაღვრემილი, მაგრამ... კმაყოფილი დაბრუნდა სახლში.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

წარსულ კვირას მოხდა ფრიად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. ინგლისმა და იტალიამ იურიდიულად იცვნეს საბჭოთა კავშირი. ჩვენ აქვე მოვიყვანთ, როგორც ისტორიულ დოკუმენტს, იმ ნოტას, რომლითაც საბჭოთა კავშირი ცნობილ იქნა და აგრეთვე იმ პასუხს, რომელიც ამ ცნობის შესახებ გასცა საკავშირო ყრილობამ.

„საგარეო საქმეთა მინისტრის ინსტრუქციების თანახმად, პატივი მაქვს გადმოგცეთ მისი უდიდებულესობის მთავრობის შემდეგი ცნობა: „ჩემი მთავრობის დავალებით გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას, რომ ის ცნობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას იურიდიულად რუსეთის ყოფილ იმპერიის იმ ტერიტორიაზე, რომლებიც ემორჩილებიან მის ძალაუფლებას. სრულიად მეგობრული ნორმალური ურთიერთობის შესაქმნელად და აგრეთვე სრული კომერციული ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო იქნება კონკრეტიული, პრაქტიკული შეთანხმების დადება ზოგიერთი საკითხების გამო, რომელთაგან ერთ ნაწილს არა აქვს უშუალო დამოკიდებულება ცნობის საკითხთან, მეორე ნაწილი კი მჭიდროთ არის დაკავშირებული ცნობის ფაქტთან. ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ არსებული ხელშეკრულებების საკითხი. საბჭოთა მთავრობის ცნობით ავტომატიურად შედის ძალაში ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულ იქნენ ორივე სახელმწიფოების მიერ რუსეთის რევოლიუციაამდე, იმ ხელშეკრულებების გარდა, რომლებსაც ფორმალურად ვადა გაუთავდა. ორივე მხარეს სარგებლობა მოითხოვს, რომ ცნობასთან ერთად მოგვარებული იქნეს დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებებისადმი. ცნობასთან ტექნიკურად არ არის დაკავშირებული, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთავრობების და თითეული ქვეყნის ქვეშევრდომთა ურთიერთობისადმი არსებულ პრეტენზიების მოგვარების და აგრეთვე რუსეთის კრედიტის აღდგენის საკითხს. ნათელია, რომ ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დამყარებულად, სანამ ერთ მხარეს აქვს საფუძველი დასწამოს მეორეს პროპაგანდის წარმოება, რომელიც მიმართულია მისი დაწესებულებების დამხობისაკენ. მისი უდიდებულესობის მთავრობა წინადადებას აძლევს რუსეთის მთავრობას მოკლე ხანში გამოგზავნოს ლონდონში ყველა რწმუნებებით აღჭურვილი წარმომადგენლები ზემოაღნიშნულ საკითხების განსახილველად და აგრეთვე საბოლოო ხელშეკრულების წინასწარი საფუძველის გამოსამუშავებლად, რომლითაც გადაიჭრება ორივე მხარის მიერ წამოყენებული ყველა საკითხები.“

საბჭოთა საკავშირო ყრილობამ ამის გამო მიიღო შემდეგი დადგენილება.

„მოისმინა რა ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდი ბრიტანეთის მხრივ იურიდიულათ სრული ცნობის და აგრეთვე ამ ორ სახელმწიფოს შორის სრული ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ის ისტორიული ნაბიჯი არის მუშათა კლასის მიერ წამოყენებული მთავრობის ერთი პირველ აქტთაგანი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მუშურ-გლეხურმა მთავრობამ,

რომელიც დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა, თავისი უპირველეს ამოცანად დაისახა ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და მთელი თავისი არსებობის პერიოდში ცდილობდა ნორმალური ურთიერთობა დამყარება ყველა ერებთან. სამწუხაროდ ბრიტანეთის არც ერთი წინანდელი მთავრობა არ შეხვდა კეთილგანწყობილებებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ამ მისწრაფებებს. ჯერ კიდევ წარსულ წელსმაისში ინგლისის დიპლომატიამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დააყენა ულტიმატუმის ფაქტის წინაშე, რომელიც ჩაშლით ემუქრებოდა დაწყებულ საკავშირო ურთიერთობას და ქმნიდა ევროპაში მშვიდობიანობის დარღვევის პირდაპირ საფრთხეს. ინგლისის მუშათა კლასი მთელი ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ერთგული მომხრე იყო. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერებს ახლოვთ ინგლისის მშრომელი მასების და აგრეთვე ინგლისის საზოგადოების მოწინავე ნაწილის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყვენ ბოიკოტის შეწყვეტის, ბლოკადის მოხსნის და სამხედრო ინტერვენციისათვის ბოლოს მოღებისაკენ, ისინი ანგარიშს უწევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა წარმოადგენს დაჟინებითი ნებისყოფის შედეგს ინგლისის ხალხისას, რომელიც ერთსულოვნად მოითხოვდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკურ ცნობას, როგორც აუცილებელ პირობას საყოველთაო ზავის განსამტკიცებლად, იმპერიალისტური ომის მიერ დანგრეული მსოფლიო მეურნეობის აღსადგენად, კერძოდ კი თვით ინგლისში სამრეწველო კრიზისთან და უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლისათვის. ამ გაერთიანებული ღონისძიებას და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას ლენინის მეთაურობით და აგრეთვე ინგლისის ხალხის კატეგორიულათ გამოთქმულ ნებისყოფას შედეგათ მოყვა ბოლოს ნორმალური ურთიერთობის დამყარება ორ ქვეყანას შორის იმ ფორმით, რომელიც შეეფერება დიდ ერებს და რომელიც საძირკველს უყრის მათ მეგობრულ თანამშრომლობას. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის. მძიმე ატმოსფერაში, რომელშიც ჩასახულია ახალი მსოფლიო შეტაკებების საფრთხე, რაც საფუძვლიანად შიშს იწვევს ყველა ქვეყნების მშრომელ მასებში, ინგლისის მუშათა მთავრობის ამ ნაბიჯს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა აცხადებს, რომ ინგლისის ერების თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან მომავლისათვისაც შეადგენს ხრუნვის საგანს საკავშირო მთავრობისას, რომელიც, თანახმად თავისი წინანდელი მშვიდობიანი პოლიტიკისა, ყველა ღონისძიებებს იხმარს ყველა სადაო საკითხების და გაუგებრობათა მოსაგვარებლად, ეკონომიური კავშირის განსავითარებლად და განსამტკიცებლად, რაც ესოდენ საჭიროა ორივე ქვეყნის და აგრეთვე მთელი მსოფლიო სამეურნეო და პოლიტიკური წარმოებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა ძმურ ხელს უწვდის ინგლისის ხალხს და ავალებს საკავშირო მთავრობას მიიღოს ინგლისის მთავრობის მიმართ ყველა ზომები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა მთავრობის ცნობის ფაქტიდან!

რეზოლიუცია მიღებულია ყრილობის მიერ ერთხმად.

***

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი და პრესა დიდის კმაყოფილების გრძნობით შეხვდა მაკდონალდის ამ ნაბიჯს, უწოდა რა მას ბრძნული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება საფრანგეთს, მასში ამ ცნობამ გამოიწვია დიდი გულისტკივილი. საფრანგეთის გავლენიანი გაზეთები აცხადებენ, რომ საფრანგეთი საბჭოთა კავშირის ცნობის წინასწარ პირობათ სთვლის ვალების გასტუმრებას და საფრანგეთის მოქალაქეთა პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

ამერიკის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ მაკდონალდის მთავრობისაგან არ არის მოულოდნელი საბჭოთა კავშირის ცნობა, მაგრამ ამერიკა მანამ ვერ იცნობს საბჭოთა კავშირს, სანამ რუსეთი არ გადიხდის ვალებს და არ შესცვლის საერთო პოლიტიკასო.

სამაგიეროდ წვრილი სახელმწიფოები: ბელგია, ნორვეგია და სხვები ემზადებიან საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. მათგან დღე დღეზე მოსალოდნელია ეს ცნობა.

იაპონიაც მგონი მალე იცნობს საბჭოთა კავშირს.

საფრანგეთი თუმცა არ აპირობს ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ცნობას, მაგრამ იქაური გაზეთები ძლიერ ნანობენ, რომ ინგლისი რუსეთში ყველა კონცესიებს ჩაიგდებს ხელშიო.

***

გერმანიაში მღელვარებაა მთავრობის პოლიტიკის გამო. არავის არ უნდა სამუშაო დღის გაგრძელება, გარდა ერთი მუჭა კაპიტალისტებისა. სხვა და სხვა დარგის და რაიონის მუშები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ სამუშაო დღის გაგრძელებას. ხდება გაფიცვების მთელი რიგი და სხვა.

კომუნისტური პარტია მეტად ფართოდ აწარმოებს მუშაობას. სამაგიეროდ მარქსის მთავრობაც სასტიკად დევნის ამ პარტიას. მიუხედავად ამისა კომპარტია პროფკავშირების არჩევნებში თითქმის ყველგან იმარჯვებს.

***

საბჭოთა კავშირის ყრილობა დასრულდა. მან მიიღო მთელი რიგი პრაკტიკული ხასიათის დადგენილებებისა ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. დასასრულ აირჩია მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ალექსი ივანეს ძე რიკოვი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებათ არჩეულნი არიან ამხ. **კამენევი, ცურიპა, ორახელაშვილი, ჩუბარი, ამასთანავე ამხ. კამენევი არჩეულია აგრეთვე შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეთ, ცურიუპა — სახელმწიფო გეგმათა სამართველოს თავმჯდომარედ.**

ერთხმად არჩეულნი არიან: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ჩიჩერინი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი—ამხ. ტროცკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი—კრასინი, გზათა სახალხო კომისარი—ამხ. რუდზუტაკი, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი—ამხ. ივანე სმირნოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ამხ. კუიბიშევი, შრომის სახალხო კომისარი—ამხ. შმიდტი, სასურსათო სახალხო კომისარი—ამხ. ბრიუხანოვი, ფინანსთა სახალხო კომისარი—ამხ. სოკოლნიკოვი, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე—ამხ. ძერჟინსკი.

წერილები პროვინციიდან

წერილი ქუთაისიდან.

ვინ დარჩა მენშევიკურ პარტიაში.

განა იტყვის ვინმე, რომ მენშევიკური პარტიის ორგანიზაციები ყოველთვის არ შედგებოდა ჭრელი ხალხისაგან? განა არ შეეძლო გამხდარიყო პარტიის წევრად, როდესაც კი მოისურვებდა, მღვდელს, თავადს, ვაჭარ-სპეკულიანტს და სხვა მათნაირ ხალხს? რასაკვირველია ამაში ყველა დამეთანხმება და თუ ასეა, რა გასაკვირია, რომ დღესაც ყავს მენშევიკურ პარტიას„ მოღვაწეები,“ მუშათა კლასის მიერ გარიყულნი და არც ისაა გასაკვირი, რომ მუშათა კლასს მაუზერ-ნაგანებით გაუმასპინძლდენ ისინი. მენშევიკური პარტიის ნამდვილმა წევრებმა სავსებით დატოვეს მენშევიკური პარტია და დადგნენ კომინტერნის დროშის ქვეშ, მუშათა კლასს კი გაეჭცა მენშევიკური პარტიის ფორმალური წევრები ზოგიერთი პოლიტიკოს-ფანატიკოსები. აი ვინ დაანთხია უდანაშაულო სისხლი ამხ. ი. გიორგაძის და ვ. ქაიხოსროშვილის. ჩვენ გვრცხვენია, როდესაც ჩვენი ყოფილი პარტიის წევრები ჩადიან ისეთ საზიზღრობას, რომლიდანაც დღემდე წმინდა იყო პარტია. პარტია მენშევიკური ფაკტიურად აღარ არსებობს. დარჩა მხოლოდ ავანტიურისტთა ჯგუფი მენშევიკების ყალბი რეკლამით და საჭიროა ხელისუფლებამ მიიღოს სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგ, როგორც ბანდიტების.

ხ. სულაბმრიძე

ამხ. ლენინის ხსოვნას.

როდესაც კ. მარქსი გარდაიცვალა (1883 წ.) ფ. ენგელსმა სთქვა: „უდიდესმა თავმა შესწყვიტა აზროვნებაო“. ასევე უნდა ვსთქვათ ლენინის შესახებაც. უდიდესმა მსოფლიო პროლეტარულმა გენიალურმა თავმა შესწვეტა-აზროვნება.

აღარა გვყავს ჩვენი უდიდესი მასწავლებელი და უდიდესი იდეოლოგი კომუნიზმისა.

აღარა გვყავს მე-III ინტერნაციონალისა და კომუნისტური პარტიის დამაარსებელი. ჩვენი

ილიჩი, ილიჩი დიდი დანაკლისია მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

კ. მარქსი დიდი თეორეტიკოსია კომუნიზმის, ლენინი კი დიდი პრაქტიკოსია კომუნიზმისა, დიდი დანაკლისია ჩვენთვის ლენინი. მაგრამ ფ. ენგელსმა სთქვა „ყოველივე უბედურება მიზანს გვაახლოებსო“. ეს აქსიომაა. ჩვენ ლენინის დაკარგვით მისი მოწაფეები უფრო ღრმა გაკაჟებული რწმენით, უფრო მჭიდრო შეკავშირებით და დიდი ენერგიით ვივლით იმ გზით, რომელიც თვით ლენინმა გაგვიკაფა კომუნიზმისაკენ. გაუმარჯოს ლენინის ოქტომბერს, გაუმარჯოს კომუნისტურ მე-III ინტერნაციონალს და გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

მ. გალდავაძე.

ჩოხატაური

ადგილობრივ გლეხობასა და ხელისუფლების შორის თანდათან მტკიცდება კავშირი და ნდობა.

ამ გარემოებას ხელს უწყობს საქმიანი და მიზანშეწონილი მუშაობა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ეწევა.

ასე, მაგალითად, თითქმის რაიონის ყველა სოფლებში განახლებულია და შეკეთებულია სასოფლო შარა-გზები, რომელნიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. მაგრამ ჩოხატაურის სარაიონო აღმასკომს ერთი დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი და დღემდის ვერ მოუხერხებია მისთვის ხელის მოკიდება.

საქმე იმაშია, რომ დღეს ფაქტიურად მთელი ზემო გურია მოწყვეტილია როგორც მაზრას, ისე რკინის გზის ლიანდაგსაც.

ერთადერთი დიდი სამხედრო გზა, რომელიც მთელს ზემო გურიას აკავშირებდა ქალ. ოზურგეთთან და სადგურ საჯევახოსთან, დღეს უსაშინელეს მდგომარეობაშია. და მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. ამ სამხედრო გზას, რომლის სიგრძე დაახლოებით 18 ვერსია საჯავახოდან ჩოხატაურამდე, ჩამოუდის პატარა წყალი ეგრედ წოდებული „ხეის წყალი“.

ეს ჩვეულებრივ დარში პატარა წყალი ისე ადიდდება ავდრის დღეს, რომ დიდ ვეებერთელა მდინარეს ემზგავსება და რაც ხვდება გზაზე ყველაფერს ერთნაირად ანადგურებს. რამდენიმე წლის წინად ერთაერთ ასეთ ადიდების დროს ამ წყალმა წალეკა ჩოხატაურ-საჯევახოს გზის ნაწილი თითქმის სამი ვერსის მანძილზე და დაანგრია ის სავსებით.

ეს ამბავი რამდენადაც მე მახსოვს ჯერ კიდევ მენშევიკების დროს იყო, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ამ გზას შეკეთება აღარ ეშველა. დღეს კი ისეთი მდგომარეობა არის, რომ თუ ოდნავ წამოწვიმა და ხეის წყალი ადიდდა, ჩოხატაურიდან საჯევახომში ვეღარ მოხვდები და იძულებული ხარ უცადო სანამ, მდინარე ჩვეულებრივ კალაპოტში ჩავარდებოდეს.

არა ნაკლებ უნუგეშო მდგომარეობაშია ოზურგეთ-ჩოხატაურის გზა.

ამ გარემოებას უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება და რაც ვერ გაკეთებულა დღემდის, დღეს მაინც უსათუოდ უნდა გამოსწორდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარტო ჩოხატაურის აღმასკომი საკუთარი ძალებით ვერას გახდება აქ.

მას უსათუოდ უნდა დაეხმაროს მაზრაც და საქართველოს მთავრობაც.

მხოლოდ ჩოხატაურის სარაიონო აღმასკომს ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მან დღემდის ვერ გამოიჩინა საკმაო ინიციატივა და ენერგია ამ საქმის დაწყებაში. ეს უსათუოდ დამკვრელი ამოცანაა მთელი რაიონისათვის, კიდევ მეტი მთელი მაზრისათვის. თუ ამ გზას ეხლა მაინც არ მიექცა სათანადო ყურადღება და მის შესაკეთებლად ზომები არ იქნა მიღებული, ეს გზა სრულიად განადგურდება, გაფუჭდება და შემდეგ მისი სავსებით ხელახლა გაყვანა იქნება საჭირო თითქმის.

მართალია, ეს ძალიან დიდი და მძიმე საქმეა, რომელიც ვალად აწევს ჩოხატაურის აღმასკომს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აწი მაინც მოიცლის ამ დიდი საქმისათვის ის და მით უდიდეს სამსახურს გაუწევს, როგორც რაიონს, აგრეთვე მთელ რესპუბლიკასაც.

გლეხი.

ᲐᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. რიკოვი. მის მოადგილეთ: კამენევი, ცურიპა, ორახელაშვილი და ჩუბარი.

ინგლისმა და იტალიამ იურიდიულად იცვნეს საბჭოთა კავშირი.

გერმანიაში გრძელდება მუშების მღელვარება და გაფიცვები სამუშაო დღის გადიდების გამო.

გერმანიის ფროფკავშირის არჩევნებში თითქმის ყველგან კომუნისტები იმარჯვებენ.

კომპარტიამ ბერლინში გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც ამბობს რომ მენშევიზმი დაიშალა, ხოლო ლენინიზმმა გააერთიანა პროლეტარული ძალები და მოამზადა პროლეტარული რევოლიუციაო.

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობაზე ვანდერველდემ, ბელგიის სოციალისტების წარმომადგენელმა განაცხადა, „კომუნიზმმა ბევრი საზიანო მხარეები მოსპო მუშათა მოძრაობაში. მე წინააღმდეგი ვარ კოლჩაკის. მე ვარ ლენინის და რუსეთის რევოლიუციის მხარეზე“.

ფინანსთა კომისარიატის კოლეგიის წევრმა თუმანოვმა განაცხადა, რომ საკითხი ჩვენი ფულის რეფორმის შესახებ უკვე გადაწყვეტილია საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს ორგანოებში, ჯერჯერობით გამოშვებულ იქნება სახაზინო ბილეთები 1, 3, 5, მანეთიანები, აგრეთვე ვერცხლის და სპილენძის ფული. ბრუნვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დროებით განზრახულია გამოშვება ქაღალდის ბონებისა 1, 2, 3, 5 კაპიკის ღირებულების.

მაკდონალდმა პრესის წარმომადგელებთან საუბრის დროს მხარი დაუჭირა გერმანიის აუცილებლად შესვლას ერთა ლიგის შემადგენლობაში თანასწორ-უფლებიან წევრად. ამასთანავე მაკდონალდმა დაუმატა, რომ ამ საკითხში ის არავითარ ინგარიშს არ უწევს საფრანგეთს.

ბათუმის მუშებს მასიურად შეაქვთ განცხადებები პარტიაში შესვლის სურვილის შესახებ. ნავთსადგურის მტვირთავებმა შეიტანეს კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენი ბელადის ლენინის გარდაცვალების შემდეგ უპარტიო მუშებმა ვიგრძენით, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის ილიჩი. მის პარტიას ჩვენ პატივს ვცემთ და გვსურს მის რიგში ყოფნა“.

კომპარტიის ბელადმა ჩილბულმა შეიტანა რეიხსტაგში შეკითხვა—გაითვალისწინა თუ არა შვეიცის მთავრობამ საბჭოთა კავშირის ინგლისის მიერ ცნობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა? ჩილბულმი მოითხოვს განმარტებას შვეიცის დელეგაციის მეთაურისა—ლევეგრენის ლონდონში გამგზავრების გამო და საჩქაროდ ხელშეკრულების დადებას.

იაპონიის სტუდენტობამ მოაწყო კავშირი კიურის კაბინეტის ჩამოსაგდებად. კავშირი აერთიანებს 200,000 სტუდენტს.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისმა სავსებით იცნო საბჭოთა მთავრობა. რუსეთი და გერმანია დაშვებული უნდა იქნეს ერთა ლიგაში. შეეხო რა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას, მაკდონალდმა განაცხადა, რომ ყოველგვარ გაუგებრობაში ორივე სახელმწიფოს შორის დამნაშავეა ინგლისის წინანდელ მთავრობათა გაუბედავი პოლიტიკაო.

გერმანიის სეპარატისტებმა გადასწყვიტეს ჩამოაშორონ ჰანოვერი პრუსიას.

სომხეთის ცენტრ. აღმასკომის და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ლენინის ძეგლის აგებაში მონაწილეობა მიიღონ ყოველთვიური პროცენტული გადარიცხვით კუთვნილი ჯამაგირიდან.

წერილები რედაქციის მიმართ.

გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი:

მე ვმუშაობდი რ. ს. დ. მ. პარტიის მენშევიკურ ორგანიზაციის წევრათ 1905 წ. 1914. წლამდე 1914 წ. პარტიაში წამოჭრილ ოპოზიციის გამო (რვა მუშა) ჩემი პარტიული დამოკიდულება მენშევიკურ ფრაქციასთან ნელდება და 1918 წ. სავსებით ჩამოვცილდი მასრის შემდეგ არავითარი დამოკიდებულება არა მქონია მენშევიკურ ორგანიზაციასთან.

ვაცხადებ რა ამას, მინდა ჩემი ფაქტიური მდგომარეობა იყოს ცნობილი; ამიტომ 1918 წ. ფაქტიურად და დღეიდან ფორმალურად ვაცხადებ ჩემს თავს უპარტიოდ. მიუხედავად ამისა აქამდისაც ვაწარმოებდი საზოგადო და საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობით საბჭოთა აღმშენებლობას, და ამის შემდეგაც ვაწარმოვებ, უფრო მეტის ენერგიით და ხალისით მუშურ-გლეხური მთავრობის გამაგრებას.

ზ. ნ. ჯაფარიძე

1917 წლიდან ვმუშაობდი აქტიურათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ახალგ. მარქ.

ორგანიზაციებში. 1923 წლ. აპრილიდან პირადი მდგომარეობის გამო პარტიაში არ მიმუშავნია. ილარიონ გიორგაძის ვერაგულად მოკვლამ და დევდარიანის წერილებმა ღრმად დამარწმუნეს, რომ საქ. მენშევიკური პარტია გადაუდგა მარქსიზმს. ვაცხადებ საჯაროდ, რომ სრული შეგნებით ვიზიარებ მენშევიკების ყრილობის დადგენილებებს და მთელის ძალღონით ვეცდები ამ დებულებების ცხოვრებაში გატარებას.

შალიკო ტერელაძე.

მე ყოფილი ქ. ხაშურის დეპოს ზეინკალი ყოფილი მენშევიკურ პარტიის წევრი ვაცხადებ საქვეყნოთ, რომ მენშევიკური პარტია არ ყოფილა სწორი გზის მატარებელი, მუშათა კლასის ინტერესების დამცველი. ამიტომ ვსტოვებ ამ პარტიას. უჭერ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, როგორც დამცველს და სწორი გზით მატარებელს პროლეტარიატისა.

კოლა ზ. მეყანწიშვილი.

1917 წლიდან ვირიცხებოდი სოც. დემ. მუშათა (მენშევიკების) პარტიაში წევრად. ხოლო ეხლა კი დიდი დაკვირვების და აწონდაწონის შემდეგ, გავეცანი რა სრულიად საქ. ს. დემ. მუშათა პარტიის ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის რეზოლიუციებს და დადგენილებებს და დავრწმუნდი, რომ ერთად-ერთი მუშათა პარტია არის კომუნისტური პარტია, რომელსაც სწორი და უტყუარი გზით მიჰყავს მუშათა კლასი საბოლოო გამარჯვებისაკენ. მენშევიკურმა არალეგალურმა ცეკამ კი დიდი ხანია დაკარგა ნდობა და აშკარა ფაშისტურ გზას დაადგა, რაც გამოიხატება ყოფ. წევრების წინააღმდეგ ტერორის ხმარებაში და სხვა. ამიტომ ყოველგვარ კავშირს ვსწყვეტ ხსენებულ პარტიასთან და სრული ჩემი შეგნებით და ძალ დაუტანებლად უერთდები იმ 17 ათას მუშას, რომელმაც დასტოვეს მენშევიკური პარტია და დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე.

მსურს მეც არ ჩამოვრჩე ამ ხალხს და მთელი ჩემი ენერგიით ვიმუშავო საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და აღმშენებლობის განსავითარებლად.

ალექსანდრე მაისაშვილი.

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი რკ. გზის საავადმყოფოს მოსამსახურენი საჯაროდ ვაცხადებთ შემდეგს:

„რომ ისტორიულმა აუცილებლობამ, რევოლიუციონური მსვლელობის სისწორემ რუსეთში და მთელს საკავშირო რესპუბლიკებში აშკარად დაანახვა მთელს კაცობრიობას, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში უდგას ამ რევოლიუციონურ მშენებლობას, არის ერთად ერთი პარტია გამომხატველი მუშათა და გლეხთა ინტერესების; გამომხატველი მათი მისწრაფების და მუდამ ჟამს მათთვის მებრძოლი.

კომუნისტური პარტიის სიძლიერემ, მესამე კომინტერნმა ამხ. ლენინის მეთაურობით აშკარად ფარდა ახადა ყოველივე სხვა ანტიკომუნისტურ პარტიებს, მათ საქმიანობას და დაასამარა იგი, რუსეთში დიდი ხანია ბოლო მოეღო ესერების და მენშევიკური პარტიების გავლენას მშრომელთა მასებში, მუშებმა ზურგი შეაქციეს მათ და გაჰყვნენ თავის მესაიდუმლე პარტიას, კომუნისტურ პარტიას.

საქ. საბჭოთა რესპუბლიკაშიაც ჩვიდმეტ ათასმა (17,000) მშრომელმა მუშამ და ახალგაზრდობამ ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას და 25 აგვისტოს გასულ წელს, ყრილობაზე აშკარა თანამშრომლობა გამოუცხადა მმართველ პარტიას და დადგა მე-III კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

და ჩვენც ყოფილი წევრები მენშევიკური პარტიის, რომლებმაც უკვე დიდი ხანია მივატოვეთ ხსენებული პარტია, ერთხელ კიდევ ვაღვიარებთ, რომ ჩვენ უკვე ვდგევართ საბჭოთა პლატფორმაზე და გაწყვეტილი გვაქვს ყოველივე კავშირი ხსენებულ პარტიასან, რომელიც უკვე სამუდამოდ გაიხრწნა და დასამარდა.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!
გაუმარჯოს მე III კომინტერნს!
გაუმარჯოს კომუნიზმს!

1) ობლოშვილი ნინო, 2) ვაშაკიძე ნესტორი, 3) ბერეჟიანი ბესარიონი, 5) ლიპარტიანი, 6) პაიჭაძე, 7) ჯორბენაძე ნესტორი.

ეს განცხადება შემოტანილია რამოდენიმე თვის წინედ, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო დღემდე ვერ გამოქვეყნდა.

რედ.

დროთა ვითარებამ მით უფრო გასაბჭოების შემდეგ მე თანდათანობით დამარწმუნა იმაში, რომ ახალ. მარქსისტთა ორგანიზაცია თანდათანობით კარგავდა თავის სწორ მარქსისტულ სახეს და ამ რიგათ ცდებოდა თავის სწორ გზას. ის, არალეგალურ მუშაობაზე გადასული, მოექცა არალეგალურ მენშევიკურ „ცეკის" ზეგავლენის ქვეშ და გადაიქცა მის ბრძანების ცხოვრებაში უსიტყოვთ გამტარებლათ.

გართულებულმა საერთაშორისო პოლიტიკურმა მდგომარეობამ მიმიყვანა იმ დასკვნამდის, რომ დღეს, როდესაც გადამწყვეტ ბრძოლაშია ჩართული ორი ისტორიულათ მოსისხლე კლასიური მტრები: ერთის მხრივ შავი ევროპა-ფაშიზმის სახით და მეორეს მხრივ-ძლევამოსილი რევოლიუცია-რუსეთის კომუნიზმის სახით-აი სწორეთ ასეთ დროს ჭეშმარიტი რევოლიუციონერების ალაგია წითელ რევოლიუციის დროშის ქვეშ—ბრძოლა. „არალეგალურ ცეკის" ტაქტიკა კი მიუღებელია—ის რყვნის- რევოლიუციონურ ძალებს-და ამით ასუსტებს გადამწყვეტი ბრძოლის დროს რევოლიუციონურ ფრონტს. სეით დევდარიანიც, ეს პიონერი პარტიისა აღიარებს ამ საშიშროებას და გამოსავალ გზას იმაში პოულობს, რომ აღიაროს მე III კომინტერნის პლატფორმა ლეგალობის მოპოვებით. ჩემი დასკვნა კი უფრო შორს მიდის, ერთად ერთი გზა ეს ის გზაა, რომელსაც დაადგა ყოფ. მენშევიკების და ახალგაზრდა მარქსისტების კონფერენცია 30 აგვისტოს 1923 წ. და მეც სრული შეგნებით ვუერთდები მათ მიერ მიღებულ დადგენილებებს.

მარია მუჯირი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეც ჩავები არალეგალურ მუშაობაში და ვირიცხებოდი ცხინვალის რაიონულ კომიტეტის წევრად, მართალია ბევრ საკითხებში არ ვეთანხმებოდი არალეგალურ ცეკას, მაგრამ პარტიული დისციპლინის ძალით ვემორჩილებოდით პარტიის სხვა და სხვა დადგენილებებს, დროზე ვერ დავაღწიე თავი პირად თავმოყვარეობას. მენშევიკთა სრულიათ საქართველოს კონფერენციის მუშაობამ და დადგენილებებმა ბევრი რამ გაურკვეველი ნათელყვეს ჩემთვის, მაგრამ დღემდის არ მომიხერხდა გამომეთქვა ჩემი აზრი და დამოკიდებულება ზემოხსენებული კონფერენციის დადგენილებებისადმი. ამ დღეებში მომეცა საშვალება სავსებით გავცნობოდი, როგორც აგვისტოს კონფერენციის დადგენილებებს, ისე ჩემი თანამებრძოლთა მეტეხში მყოფ (გორის მაზრიდან) პატიმართა განცხადებას, რამაც ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია.

უერთდები რა 25 აგვისტოს (მენშევიკურ) კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს, ფიცსა ვდებ მთელი ჩემი ენერგიით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ამით გამოვასწორო მუშათა კლასის წინაშე ის შეცდომები, რომელიც დაუშვი არალეგალურ მენშევიკურ პარტიის რიგში მუშაობით ამ სამი წლის განმავლობაში.

იოსები დავითის ძე კობალაძე.

29 იანვარი.

პროვინციელ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! მოგვაწოდეთ წერილები პროვინციის ცხოვრებიდან. აღნიშნეთ მოკლედ ფაქტები ადგილობრივი ცხოვრებიდან. ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დაკოჟრილი ხელებით ნაწერს. წერილები სწერეთ ქაღალდის ცალ გვერდზე.

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს. მ. ჟ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 521. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1021. ტირაჟი 1000